საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი, 24 თებერვალი. 2023 წ. №22 (9554) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, ცოგორიც ბეჭდვეული სიტყვაა, ტყეილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა ეკალრისხიანგზე ესაძაგლესია.

„ხალხის ძალა“ ქართველი ხალხის ძალა!

ევროკავშირი სიყალბეში ჩაიხრჩო!



„ნაციონალეგის“, მათი „ენჯეოეგის“, მედიასაშუალეგეგისა და უცხოელი პატრონეგის სიყალბე ძალიან მარტივად, ამერიკული, რუსული და ქართული კანონეგის ტექსტეგის ერთმანეთთან შედარეგით მტკიცდეგა, თუმცა ისინი ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე ატრიალეგენ ერთსა და იმავე ყალგ მესიჯს, თითქოს ჩვენი კანონპროექტი რუსულია, – ამის შესახეგ საზოგადოეგრივი მოძრაობა „ხალხის ძალის“ განცხადეგაშია ნათქვამი.

„ხალხის ძალის“ წევრეგის შეფასეგით, ისინი ისეთ ცნეგეგს, როგორეგიცაა თავისუფალი მედია და თავისუფალი სიტყვა, პრინციპულად არ ცნობენ და ვერ ეგუეგიან.

„თანამედროვე სამყაროში სიცრუე უკეთური პოლიტიკური ძალეგის ერთ-ერთი მთავარი გრძოლის იარაღია. ამ იარაღს 2004-12 წლეგში დიდი წარმატეგით იყენეგდა „ნაციონალური მოძრაობა“ ძალაუფლეგის შესანარჩუნეგლად. ყველას გვახსოვს, როგორ ტირაჟირეგდა მაშინ ერთ ხმაში სიცრუეს „ნაცმოძრაობის“ მიერ მიტაცეგული სამი ტელევიზია. 2012 წლის შემდეგაც, „ნაცმოძრაობისთვის“ სიცრუე პოლიტიკაში თავის შენარჩუნეგის მთავარ იარაღად დარჩა. იმისათვის, რომ სიცრუე წარმატეგული იყოს, „ნაცმოძრაობის“ ტელევიზიეგი აგრესიულად უპირისპირდეგიან თავისუფალ სიტყვას და ნეგისმიერ ლოგიკურ არგუმენტს, რომელმაც მათი სიყალბე შეიძლეგა ამხილოს.

ეს დამოკიდეგულეგა კიდევ ერთხელ მკაფიოდ გამოჩნდა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახეგ“ კანონთან მიმართეგით. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ოპონენტეგის – „ნაციონალეგის“, მათი „ენჯეოეგის“, მედიასაშუალეგეგისა და უცხოელი პატრონეგის სიყალბე ძალიან მარტივად, ამერიკული, რუსული და ქართული კანონეგის ტექსტეგის ერთმანეთთან შედარეგით მტკიცდეგა, ისინი ყოველგვარ არგუმენტაციაში შესვლის გარეშე ატრიალეგენ ერთსა და იმავე ყალგ მესიჯს, თითქოს „ჩვენი კანონპროექტი რუსულია“. ეს დამოკიდეგულეგა იმის შედეგია, რომ ისინი ისეთ ცნეგეგს, როგორეგიც თავისუფალი მედია და თავისუფალი სიტყვაა, პრინციპულად არ ცნობენ და ვერ ეგუეგიან.

„ნაციონალეგის“, მათი „ენჯეოეგის“, მედიასაშუალეგეგისა და უცხოელი პატრონეგის სიყალბე ძალიან მარტივად მტკიცდეგა!

გიძინა ივანიშვილმა რამდენჯერმე მიგვანიშნა, რომ ევროპაში მედია სრულ ცენზურას ექვემდეგარეგა, რაც ევროკავშირის უმწვავეს ფასეულობით კრიზისზე მეტყველეგს. ვხედავთ, რომ დემოკრატია, ადამიანის უფლეგეგი, სიტყვის თავისუფლეგა, რაც ათწლეულეგის მანძილზე ევროპის მთავარი ხიმლი იყო, დღეს უკიდურესად არის დაკნინეგული.

ეს შემაშფოთეგელი მდგომარეობა კარგად ჩანს ევროპარლამენტის მაგალითზეც. გასული თვეეგის განმავლობაში ევროპარლამენტმა მიიღო სამი რეზოლუცია საქართველოს შესახეგ, რომლეგიც ერთმანეთზე უარესი სიყალბით არის გაჯერეგული. ითხოვენ კრიმინალეგის სასჯელისგან განთავისუფლეგას და გიძინა ივანიშვილის დასჯას, აცხადეგენ, რომ კეზერაშვილი იდევნეგა, როგორც ე.წ. კრიტიკულად განწყობილი მედიის მფლობელი, ამბობენ, რომ საკაშვილი გიძინა ივანიშვილის პირადი შურისძიეგის გამო არის დაჭერილი, გვიმტკიცეგენ, რომ მსხვერპლი არა სანდრო გირგვლიანი, არამედ საკაშვილია. როდესაც ევროპარლამენტი ამ მასშტაბის სიყალბეს ტირაჟირეგს, ეს ევროკავშირში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობაზე მეტყველეგს. ევროპარლამენტის საერთო რეკომენდაციად ჩვენ არ გამოვდგეგით, მაგრამ გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ სადაც საქართველოზე ამ ხარისხის სიყალბე ვრცელდეგა, იქ მსგავსი სიცრუე სხვა ქვეყნეგისკენაც ხშირად არის მიმართული.

ევროკავშირში შექმნილი ღირეგულეგითი, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი საქართველოსთვის განსაკუთრეგით შემაშფოთეგელია. მედიისა და სიტყვის თავისუფლეგა, სიმართლე და სამართლიანობა, აგენტურისგან თავისუფალი სუვერენული სახელმწიფოეგრიობა არის ის ღირეგულეგეგი, რომელთათვისაც 2012 წელს ვიგრძოდით და რომელთა მოსაპოვეგლად საქართველო საკაშვილის აგენტოკრატიული ავტორიტარული რეჟიმისგან გავათავისუფლეთ. გამაოგნეგელია, როდესაც ვხედავთ, თუ როგორ ართმევენ ევროპას ამ ღირეგულეგეგს, რის გამოც მისი მომავალი ძალიან რთულად განჭვრეტადი ხდეგა. საკაშვილის რეჟიმის სტანდარტეგით მოქმედ ევროკავშირს არაფერი აქვს საერთო იმ ევროპულ ოჯახთან, რომლის წევრობაზეც ათწლეულეგის მანძილზე ვოცნეგობდით“!..

ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ თურქეთს სტუმრობდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.

უწყების ცნობით, **მთავრობის მეთაურმა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა გამო თანაგრძნობა გამოუცხადა.**

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, **საქართველო მეგობარი თურქი ხალხის გვერდით დგას და მზად არის აღმოუჩინოს ნებისმიერი საჭირო დახმარება.**

ანკარაში გამართულ შეხვედრაზე ხაზი გაესვა მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო და სამაშველო ღონისძიებებში ქართველი მაშველების მონაწილეობას, ასევე, საქართველოს მიერ აღმოჩენილ ჰუმანიტარულ დახმარებას. რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ირაკლი ღარიბაშვილს რთულ დროს მყისიერად აღმოჩენილი დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა. ირაკლი ღარიბაშვილმა თურქ ხალხს გამძლეობა, დაშავებულებს კი, მალე გამოჯანმრთელება უსურვა...

ზაზა შათირიშვილი:

3 ამერიკელი ოლიგარქების მიერ არის მიტაცებული ევროკავშირის სუვერენიტეტი, ევროპარლამენტი და აღმასრულებელი სტრუქტურები

ჯაშუშებიც, აგენტებიც, გოთვერნებიც!..

3

ვანო მერაბიშვილს გადაბირებული ჰქავდა გია ხუხაშვილი, ეკა ბესელია, კახა ოქრიაშვილი

პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოების შუალედური არჩევნების კანდიდატები შერჩეულია

„ქართული ოცნება“ პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოების შუალედურ, ასევე მერების რიგგარეშე არჩევნებზე ფოთი-სენაკი-ხობის მაჟორიტარ დეპუტატად **გიორგი ხახუბიას** კანდიდატურას წარადგენს, ცაგერში – **ლევან ზალკალიანს,** ხოლო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერად – **მანუჩარ რობაქიძის** კანდიდატურას. ამის შესახებ პარტიის პოლიტსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ განაცხადა.

29 აპრილს საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოების შუალედური, ასევე მერების რიგგარეშე არჩევნები გაიმართება.

„როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დანიშნა პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის შუალედური არჩევნები ფოთის, ხობისა და სენაკის საარჩევნო ოლქში და მერების შუალედური არჩევნები ცაგერისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში. ცესკოს გადაწყვეტილებით, არჩევნები 29 აპრილს გაიმართება. დღეს ჩატარდა პარტიის პოლიტიკური საბჭოს სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნულ საარჩევნო ოლქებში კანდიდატების დასახელების შესახებ.

პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, ფოთის, სენაკისა და ხობის საარჩევნო ოლქში პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატად პარტია წარადგენს გიორგი ხახუბიას კანდიდატურას. პირველ რიგში, აუცილებლად გვინდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი არის ჩვენი კოლეგის, ირაკლი ხახუბიას შვილი. მუნებრივია, ირაკლის სახელი და მის მიერ ფოთში, ხობსა და სენაკში შექმნილი ავტორიტეტი დაეხმარება გიორგის არჩევნებში გამარჯვებაში. თუმცა, ამასთან ერთად, გიორგი თავადაც გამოირჩევა პიროვნული თვისებებით, განათლებითა და პროფესიული გამოცდილებით, რომელთა გამოც პარტიის პოლიტიკურმა საბჭომ ის უპირობოდ საუკეთესო კანდიდატად მიიჩნია. გიორგის მიღებული აქვს განათლება კავკასიის უნივერსიტეტში, მიზნესის ადმინისტრირების სპეციალობით. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, მას აქვს მდიდარი სამუშაო გამოცდილება. სხვადასხვა დროს ის იყო საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ფინანსური დეპარტამენტის უფროსი და მოგვიანებით ამავე კომპანიის გენერალური დირექტორის მოადგილე. გარდა ამისა, გიორგი წლების მანძილზე წარმატებით ეწეოდა კერძო სამეწარმეო საქმიანობას. გასულ წლებში, გიორგი ფოთში, ხობსა და სენაკში აქტიურად იყო ჩართული „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბებისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. წარმატებებს ვუსურვებთ გიორგი ხახუბიას. დარწმუნებული ვართ მის გამარჯვებაში.

პარტიის პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილებით, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერად წარმოგიდგენთ ლევან ზალკალიანის კანდიდატურას. ლევანი არის წარმატებული იურისტი და საჯარო მოსამსახურე. მას იურიდიული განათლება მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს ლევანი მუშაობდა პროკურატურის სისტემაში გამომძიებლად და პროკურორად, მათ შორის 11 წლის მანძილზე – ამბროლაურის რაიონულ პროკურორად. ლევანს მინიჭებული აქვს იუსტიციის უფროსი მრჩევლის წოდება. დღემდე ლევან ზალკალიანი იკავებდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის თანამდებობას. წარმატებებს ვუსურვებთ ლევან ზალკალიანს.

პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერად წარმოგიდგენთ მანუჩარ რობაქიძის კანდიდატურას. მანუჩარი არის სპეციალობით ისტორიკოსი. მას დამთავრებული აქვს იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს იყო მუნიციპალური საკრებულოს წევრი, კერძო კომპანიებში – „ზესტაფონ გაზსა“ და „სოკარში“ მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, იყო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი და ეკავა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობა.

2021 წელს მანუჩარ რობაქიძე დაინიშნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ, ხოლო 2022 წლიდან ის ასრულებს თერჯოლის მერის მოვალეობას. მანუჩარს ვუსურვებთ წარმატებებს და თერჯოლის მერად არჩევას. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს სამივე კანდიდატს. დარწმუნებული ვართ, რომ ისინი მოიპოვებენ ამომრჩევლის ნდობას და აუცილებლად გაიმარჯვებენ არჩევნებში“...

ზურაბიშვილი რუსეთთან საviზო რეჟიმის გადახედვის მომხრეა!

„ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ შემოდის ქვეყანაში. რუსებს არ უნდა შეეძლოთ, რომ საქართველოში „უფასო საშვით“ დარჩნენ, ამიტომ მე სავიზო რეჟიმის გადახედვის მომხრე ვარ, რათა შანსი გვქონდეს, რომ გარკვეული დროის შემდეგ გადავამოწმოთ, თუ რას აკეთებენ ისინი ქვეყანაში“, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა უკრაინულ ტელეარხთან ინტერვიუში განაცხადა.

მისივე თქმით, **იმ პირობებში, როცა ქვეყნის ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, რუსეთთან პირდაპირი ფრენების აღდგენაზე საუბარი აბსურდულია. ვფიქრობ, უფრო მეტად უნდა ვაკონტროლოთ თუ ვინ და რა მიზნით ყიდულობს უძრავ ქონებას საქართველოში, ვინ მუშაობს რომელიმე პროფესიით ლიცენზიის გარეშე. ეს თუ არ მოხდება, ჩვენი საზოგადოება თავს დაცულად ვერ იგრძნობს. სწორედ ამიტომ ვარ პირდაპირი ფრენების აღდგენის წინააღმდეგი. ვფიქრობ, არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ უნდა აღადგინოს ქვეყანამ პირდაპირი ფრენები სახელმწიფოსთან, რომელსაც მისი ტერიტორიის 20% ოკუპირებული აქვს, ამიტომ ეს აბსურდია!..**

არ გათეთრდების ყორანი!..

ჯანდაცვის სამინისტრო: კომპანიების ნაწილმა თურქეთიდან იმპორტირებულ წამლებზე ფასები ხელოვნურად გაზარდა

მედიკამენტზე რეფერენტული ფასების ამოქმედების შემდეგ ცალკეული ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედებები დაფიქსირდა, – ამის შესახებ ნათქვამია ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

უწყების ინფორმაციით, კომპანიების ნაწილმა თურქეთიდან იმპორტირებულ წამლებზე ფასები ხელოვნურად გაზარდა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან იმპორტირებულ, იმავე დასახელების მედიკამენტების ღირებულებას გაუთანაბრა.

ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით, ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან თურქული წამლების ფასის ხელოვნური ზრდა მიუღებელია, რადგან ეწინააღმდეგება სახელმწიფოს გაცხადებულ მიზანს, მოქალაქეებისთვის უზრუნველყოს მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა.

„წინასწარი შეფასებით, ფასების ერთდროულად გაზრდის პროცესში, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს არაკეთილსინდისიერ შეთანხმებებს ან დომინირებული მდგომარეობის არასათანადოდ გამოყენების ფაქტს, რითიც სექტორი, მაქსიმალური მოგების მიღების უზრუნველყოფის მიზნით, აზარალებს მოქალაქეებს.

კონკურენციის ეროვნული სააგენტო მზად არის, მოკვლევის პროცესში ჩაერთოს. ჯანდაცვის სამინისტროს, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, გამოვლენილ დარღვევებზე მკაცრი რეაგირება ექნება. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ თურქული ფარმაცევტული ბაზრის გახსნით, თურქეთიდან მედიკამენტები პარალელური იმპორტით, გამარტივებული რეუიმით შემოვიდა, რამაც საქართველოში წამლების ფასი მნიშვნელოვნად შეამცირა. აქედან გამომდინარე, თურქეთიდან იმპორტირებული მედიკამენტები ევროპულთან შედარებით ბევრად იაფი ღირს. შესაბამისად, ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან თურქული წამლების ფასის ხელოვნური ზრდა მიუღებელია ჯანდაცვის სამინისტროსთვის, რადგან ეწინააღმდეგება სახელმწიფოს გაცხადებულ მიზანს, მოქალაქეებისთვის უზრუნველყოს მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა, წამლებზე სამართლიანი ფასის დაწესების გზით“!

ბათუმს 60 ახალი ავტობუსი შეემატება

ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი სამუშაო ვიზიტით თურქეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა, სადაც ISUZU-ს ქარხანას ეწვია და ბათუმისთვის განკუთვნილი ავტობუსების წარმოების პროცესი დაათვალიერა. არჩილ ჩიქოვანის თქმით, წელს ბათუმში მუნიციპალური ტრანსპორტი სრულად განახლდება. ახალი ავტობუსები კი, ეტაპობრივად შემოვა.

ახალი ავტობუსები გათვლილი იქნება 70 მგზავრზე და სრულად ადაპტირებულია შშმ პირთათვის. ავტობუსებში უზრუნველყოფილი იქნება ინტეგრირებული გათბობის, კონდიცირების, ვენტილაციის, საინფორმაციო ხმოვანი და ანტივანდალური ვიდეომონიტორინგის სისტემებით. ავტობუსების შეძენა აჭარის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელდა.

ჯუანშერ ბურჭულაძე: ვაკეთებთ მაქსიმუმს, რაც შეგვიძლია უკრაინისთვის დახმარების თვალსაზრისით

ჯუანშერ გურჭულაძეს ჟურნალისტმა კითხვა დაუსვა ოპონენტების განცხადებებზე, რომლის მიხედვითაც, არ არის საკმარისი, რასაც აკეთებს ქვეყანა უკრაინასთან დაკავშირებით.

„ყველამ, მათ შორის ჩვენმა პარტნიორებმა, ჩვენმა მოსახლეობამ კარგად უნდა გაიაზრონ, რომ საქართველო არის განსაკუთრებულ მდგომარეობაში. იცით, რომ ჩვენი ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია. ამ რეალობიდან გამომდინარე, ჩვენ ვაკეთებთ იმის მაქსიმუმს, რაც შეგვიძლია, რომ გავაკეთოთ უკრაინისთვის დახმარების თვალსაზრისით, ამავდროულად, რა თქმა უნდა, არ გავზარდოთ ჩვენს ქვეყანაში კიდევ ახალი კონფლიქტის წარმოშობის რისკები“, – აღნიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ.

რუსეთმა მოახდინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია, საქართველოს ეს რეგიონები დაუცველობის მუდმივ წყაროდ რჩება, – ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა უკრაინის ომის წლისთავთან დაკავშირებით გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ილია დარჩიაშვილი: საქართველო ბოლომდე მშვიდობის მომხრეა!..

„თითქმის 15 წელი გავიდა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის შემდეგ. რუსეთმა მოახდინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია, საქართველოს ეს რეგიონები რჩება დაუცველობის მუდმივ წყაროდ. საქართველო კვლავ ერთგულია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა, რაც, ერთი მხრივ, ეყრდნობა საქართველოს ორი რეგიონის დეოკუპაციას, ხოლო მეორე მხრივ, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ადამიანების შერიგებასა და ნდობის აღდგენას“, – განაცხადა დარჩიაშვილმა.

ამასთან, უკრაინის ომის წლისთავთან დაკავშირებით გამართულ გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე ილია დარჩიაშვილმა დაადასტურა საქართველოს მხარდაჭერა უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.



ზაზა შათირიშვილი:

დემოკრატია და ადამიანის უფლებები ევროკავშირში განსაკუთრებულ კრიზისს განიცდის

ამერიკელი ოლიგარქების მიერ არის მიტაცებული ევროკავშირის სუვერენიტეტი, ევროპარლამენტი და აღმასრულებელი სტრუქტურები

...ევროკავშირის ქვეყნებს დღევანდელი ეკონომიკური განვითარების დონის მიღწევის საშუალება 60-წლიანმა უწყვეტმა მშვიდობამ მისცა. თუმცა, როგორც კი ევროპას მშვიდობა ხელოვნურად დაურღვიეს, ევროკავშირის ეკონომიკა ერთ ადგილზე გაიყინა, მომდევნო წლებში კი, მისი უკუსვლაც არის მოსალოდნელი. ამასობაში, ევროპელებს რუსულ გაზსა და ნავთობზე გევრად უფრო ძვირად უწევთ ამერიკული გაზისა და ნავთობის შეძენა. ეს ყველაფერი არა მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობას აწვება მძიმე ტვირთად, არამედ ევროპული მრეწველობის ამერიკაში შეუქცევად გადატანასაც განაპირობებს. ამ ყველაფრის პარალელურად კი, საქართველოს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა აქვს. თუ პროცესები ასე გაგრძელდა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ეკონომიკური სხვაობა უახლოეს წლებში შეიძლება სრულადაც კი აღმოიფხვრას.

რომ შევაჯამოთ, ევროკავშირი დღეს უმძიმეს მდგომარეობაშია: სუვერენიტეტისგან დაცლილი ევროპარლამენტი და ევროკომისია, კორუფცია ევროსტრუქტურებში, ტოტალურ ცენზურას დაქვემდებარებული ევროპული მედია, ქრისტიანული ფასეულობების დევალვაცია, ტოტალური ლგბტ პროპაგანდა, მასობრივი მიგრაცია და ევროპული ქვეყნების ეროვნული იდენტობის მოშლა, ეკონომიკური სტაგნაცია – ეს იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ევროკავშირის მომავალს ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

სწორედ ასეთი ევროკავშირის საპირწონედ გვთავაზობენ სახელმწიფო სუვერენიტეტის დათმობას, სასამართლო სისტემის გადაცემას, ნაცმოძრაობის თაოსნობით აგენტოკრატიის დაბრუნებას, რაც უპირობოდ საქართველოში ავტორიტარიზმის აღდგენას, თავისუფალი სიტყვის ჩახშობას, ბიზნესის ძარცვას, საყოველთაო რეპრესიებს, სამშობლოსა და ეკლესიის წინააღმდეგ გალაშქრებას, ქვეყნის ცივილიზებულობის ერთადერთ საზომად გეი-აღლუმის გამოცხადებას და, რაც მთავარია, მშვიდობის დარღვევას გულისხმობს. იმ ყველაფრის გამეორება, რაც საქართველოს აგენტურის მმართველობამ 2004-12 წლებში უკვე მოუტანა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. რაც მთავარია, აუცილებელია სტერეოტიპებისგან განთავისუფლება იმისათვის, რომ ევროინტეგრაციის თვითმიზანმა ჩვენი თვითმყოფადობისა და იდენტობის და, სამოლოოდ, ჩვენი ქვეყნის თვითგანადგურებამდე არ მიგვიყვანოს!..

ჯაშუშებიც, აგენტებიც, გოთვერნებიც!..

ირაკლი კობახიძე: ვანო მერაბიშვილს გადაბირებული ჰყავდა გია ხუხაშვილი, ეკა ბესელია, კახა ოქრიაშვილი

ვანო მერაბიშვილს, როდესაც შს მინისტრი იყო და კუდიც მას ექვემდებარებოდა, გადაბირებული ჰყავდა კონკრეტული ადამიანები, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ოპოზიციონერები იყვნენ. შემდეგ ეს ადამიანები გახდნენ „ქართული ოცნების“ წევრები, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ განაცხადა. **ირაკლი კობახიძის** თქმით, ესენი იყვნენ **გია ხუხაშვილი, ეკა ბესელია** და **კახა ოქრიაშვილი.**

„მარტო ინფორმაციის გატანაზე არ იყო საუბარი, მათ ძალიან მძიმე როლი შეასრულეს სხვადასხვა ეტაპზე და მძიმედ დაზიანეს სხვადასხვა დროს ჩვენი გუნდი, მაგრამ ჩვენ ყოველ ჯერზე მოვახერხეთ ამ პრობლემებიდან სათანადოდ გამოსვლა. კონკრეტული გვარებიც შემიძლია გითხრათ, ოღონდ, არა ჯაშუშების, არამედ არაპირდაპირი, ირიბი აგენტების. მაგალითად, თავის დროზე კონკრეტულად ვანო მერაბიშვილს, როცა ის შს მინისტრი იყო და კუდიც მას ექვემდებარებოდა, გადაბირებული ყავდა კონკრეტული ადამიანები, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ოპოზიციონერები იყვნენ. შემდეგ ეს ადამიანები გახდნენ „ქართული ოცნების“ წევრები. ხშირად გუნდმა იცოდა კიდეც, რომ ისინი იყვნენ მართული.

მაგალითად, ავიღოთ გია ხუხაშვილი, არასდროს მიხსენებია ეს კაცი, თვითონ ილანძღება, დღემდე რაღაც ბოღმას ანთხევს ხოლმე, არის „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი. ვისაც უნდა სცოდნოდა, იმან იცოდა, საიდან იყო მართული, რაღაც მომენტიდან ყოველ შემთხვევაში. ის 2013 წელს, მალევე გუნდიდან გაუშვეს. მთავარი მიზეზი საბოლოო ჯამში იყო ის, რომ იყო მართული, ვერც გამოსწორდა, როგორ შეიძლება აგენტი გამოსწორდეს. გარდა ამისა, ჩაერთო მძიმე საქმიანობაში.

მოგვიანებით საინტერესო ქეისი იყო ასევე ეკა ბესელია. იყო გარკვეული პროცესები, სადაც მან ძალიან მძიმე როლი შეასრულა. აქაც ინფორმაცია ვისაც უნდა სცოდნოდა, რეალურად იცოდა. ეს დიდი ხნის განმავლობაში ვიცოდით. მან თავი გამოავლინა განსაკუთრებით 2018-2019 წლებში, 2019 წლიდან გუნდში აღარც იყო და სხვადასხვა კუთხით გამოავლინა თავი. გახსოვთ ასევე კახა ოქრიაშვილი, დღეს უკვე ღიად არის დაკავშირებული ვანო მერაბიშვილთან“, – განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, ამ ადამიანების გუნდიდან უფრო ადრე გაშვება მეტ რისკებთან იყო დაკავშირებული.

„ზოგადად ჯაშუშობა და აგენტობა, არის ძალიან მძიმე საქმე. დიდ სახელმწიფოს ვერ დაძრახავ იმის გამო, რომ მას ჰყავს აგენტები, მაგრამ რაც შეეხება ჯაშუშურ საქმიანობას, ძალიან მძიმე ხვედრია. დიდ სახელმწიფოს ვერ გაამტყუნებ, რომ შეიძლება პატარა სახელმწიფოში ჰყავდეს თავისი აგენტები. ელემენტარული ინტერესის ამბავია, დიდი პოლიტიკაა და დიდს ყოველთვის უნდა, რომ პატარა ქვეყანაში თავისი სარგებელი ნახოს, მაგრამ, ძალიან დასაძრახია ნებისმიერი ჯაშუშის საქმიანობა, ზოგადად, ყველაზე მძიმე ხვედრია აგენტობა. გარდა ამისა, ეს ყველაფერი მათ ბედზე ბოლოს ძალიან მძიმედ აისახება ხოლმე. რაღაც მომენტში შეიძლება კომფორტული იყოს აგენტობა. მაგალითად, ძალიან ბევრი აგენტი იყო წინა ხელისუფლებაში და რაღაც პერიოდის განმავლობაში ისინი კომფორტულად იყვნენ, დიდ ფულს შოულობდნენ, ხალხს ძარცვავდნენ, ადამიანებს აწამებდნენ და ამისგან სიამოვნებას იღებდნენ, მაგრამ საბოლოო ჯამში მათაც ძალიან ცუდად დაამთავრეს. დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც ეწევიან ჯაშუშურ საქმიანობას და მათი ხვედრიც ძალიან მძიმეა. კონკრეტული ადამიანი მახსენდება, სახეზე ეტყობათ ხოლმე გამწარებული გამომეტყველება, იმიტომ, რომ მათ საბოლოო ჯამში უწევთ ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც მათ უკვე ძალიან დიდ მორალურ დისკომფორტს უქმნის“!..

კეზერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ ახალ გარიგებებს იწყებს!!!

კეზერაშვილი საქართველოს წინააღმდეგ ახალ გარიგებებს იწყებს. „ქრონიკას“ ექსკლუზიურად მიაწოდეს ფოტო ლონდონიდან, სადაც ჩანან ყოფილი სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი, ყოფილი ელჩი დიდ ბრიტანეთში გიორგი ბადრიძე, ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი და სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი დავით ტყეშელაშვილი.

როგორც „ქრონიკის“ წყარო ამბობს, ამ შეხვედრაზე დავით კეზერაშვილსა და დავით ტყეშელაშვილს ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა და ყოფილმა ელჩმა მიაწოდეს ინფორმაცია იმ მოლაპარაკებების შესახებ, რომელსაც ისინი ბრიტანელ ლობისტებთან მართავენ.

კერძოდ, საიდუმლო მოლაპარაკებები იმართება ერთ-ერთ ბრიტანულ კომპანიასთან, რომელმაც საქართველოში უნდა მოახდინოს ანტისახელისუფლებო კამპანიის ლობირება მთავრობის დისკრედიტაციის მიზნით, რა დროსაც გამოკვეთილი უნდა იყოს ე.წ. რუსული ხაზი და სააკაშვილის წამების თემა. ასევე, კეზერაშვილის დაფინანსებული ტელევიზიებისთვის, საერთაშორისო მედიების დახმარებით, კონკრეტული თემები ხელოვნურად შეიქმნას.

ამავე წყაროს ინფორმაციით, იმის გამო, რომ ლობისტურ კომპანიასთან გაფორმებულმა კონტრაქტმა ხმაური არ გამოიწვიოს, მხოლოდ 100 000 ფუნტის ღირებულების კონტრაქტი გაფორმდება, ხოლო დანარჩენი გადაიხდება ქეშად. რამდენ მილიონზეა საუბარი ამ დროისთვის უცნობია.

შეხვედრაზე გამოითქვა უკმაყოფილება, რომ აქამდე წარმოებულმა კამპანიამ ქვეყნის წინააღმდეგ ვერანაირი შედეგი ვერ გამოიღო, ამიტომ გადაწყდა ახალი ლობისტური კომპანიის დაქირავება.

გიული ალასანია მიშას მთავარი პიარმენეჯერია!

„გადაწყვიტეს, მოკლან ჩემი შვილი, მას სასიკვდილო განაჩენი აქვს გამოტანილი“, – ამის შესახებ ექსპრეზიდენტ მიხეილ საკაშვილის დედამ გიული ალასანიამ უკრაინელ ჟურნალისტთან დიმიტრი გორდონთან ინტერვიუში განაცხადა.

„ამბობენ, რომ სააკაშვილი სისხლის ღვრისთვის ჩამოვიდა. საინტერესოა, საიდან მოიტანეს ეს? სად დაღვარა სისხლი? 2003 წელს რევოლუციის დროს თმის ღერიც არავის ჩამოვარდნია. ის ახლა ძალიან ცუდადაა. ციხეში მოწამლეს, ეს უკვე დადასტურებულია საუკეთესო ლაბორატორიებში. მას აქვს ინტოქსიკაცია და ეს მძიმე მეტალები უნდა გამოდევნონ ორგანიზმიდან, მაგრამ ამას არ აკეთებენ. ყოველ დღე მაღალი სიცხე აქვს, ძვალი და ტყავია დარჩენილი და კახექსია აქვს. ძალიან რთულია ამის ყურება და მე ყოველ დღე სასწაულს ველოდები. მათთვის, ვინც გადაწყვეტილებას იღებს, ჩემი შვილის გაკეთებულს არანაირი ფასი არ აქვს. გადაწყვიტეს, მოკლან ჩემი შვილი. მას სასიკვდილო განაჩენი აქვს გამოტანილი, თუმცა, ძალიან წუხს, რომ ახლა უკრაინაში არ არის. ახლა მძიმე პერიოდი გვაქვს, მაგრამ ჩემი შვილი ოპტიმისტია. აქვს გეგმები და თვლის, რომ ეს ყველაფერი დროებითია“...

ᲣᲕᲘᲪᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ

ᲜᲐᲗᲔᲚᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲖᲘ ᲮᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲖᲝᲓᲕᲔᲑᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ“ 2023 წლის 25 იანვარს დაიბეჭდა წერილი, ვინმე ნათელმხილველი ნაზი ხანიაშვილის წიგნის თაობაზე, რომლის სახელწოდებაა „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲡᲣᲠᲔᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“, სადაც დაშვებულია უხეში შეცდომები კოლხეთის ცივილიზაციასა და მისი წარსულის შეფასების საკითხებში.

ნ. ხანიაშვილი ავლენს პირად უარყოფით დამოკიდებულებასა და უცოდინარობას სამეგრელოს პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო ცხოვრების ცოდნის მიმართ, არ ერკვევა ისტორიის მამების ფუნდამენტურ ნაღვაწში, თავს აძლევს უფლებას მცდარი პოზიციიდან დაანინოს კოლხების ბრწყინვალე წარსულის როლი და მნიშვნელობა. რბილად რომ ვთქვათ, გააუფასუროს რეალობა, მონაგონით ჩაანაცვლოს არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, წერილობითი წყაროებით დამტკიცებული სინამდვილე, ვერ გარკვეულა, რომ კოლხები და სვანები აბორიგენი ხალხია და ცივილიზაციის სათავეებთან დგანან, თორემ არ დაუშვებდა უხეშ შეცდომას, არ დაწერდა, რომ „კავკასიის იბერია აღმოსავლეთ საქართველოა და არა სამეგრელო.“

ნ. ხანიაშვილის უვიცობამ გამოიწვია ზუგდიდელების სამართლიანი აღშფოთება, რომლებმაც მამხილებელი წერილებით მიმართეს არა ერთ ინსტანციას. სამეგრელოს მოსახლეობა გამოვთქვამთ პროტესტს ავტორის სიბეცეზე. ასე რომ არ იყოს, ის ღმერთის სახელს „ღორონთი“ არ დააკავშირებდა ღორთან. სამეგრელოში ყველა ცხოველს საკუთარი სახელი ამშვენებს. რატომ უნდა შეერქვათ მეგრელებს უზენაესი ღვთაებისთვის ქართულ-იბერიიდან ნასესხები სახელი? ეს ხომ სრული აბსურდია!..

ნ. ხანიაშვილის უხეში გამოხტომები კოლხეთისა და სამეგრელოს წარსულის მიმართ ადრეც გამოვლინდა.

ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ ᲘᲧᲝ, ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ!

ᲜᲐᲖᲘ ᲮᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡ, როგორც მეცნიერებას, არასოდეს ჰქონდა ფეოდალური ობიექტურად აესახა, გაეაზრებინა საქართველოში მომხდარი მოვლენები და ფაქტები. ნამრომებში საქართველოს ისტორიის შესახებ ხმირად ანგაჟირებულია ქართველი მეცნიერის მიერ სამეგრელოს, მეგრელების მიმართ სხვადასხვა დროს გავრცელებული პასკვილები, ცრუმრალდებები საქართველოს მტრებისგან, მაგრამ ახლახან რაც მოიძია და ზუგდიდელებს აუწყა ეკონომისტმა **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲚᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲛ**, ყოველგვარ მოლოდინს გადაჭარბა.

„ᲕᲘᲜᲛᲔ თმილისელმა ანამეცნიერმა, პროფესიითა ინჟინერმა და ნათელმხილველმა, 78 წლის ქალბატონმა ნაზს ხანიაშვილმა გამოუშვა წიგნები „ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲐᲡᲣᲠᲔᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ“ და **„ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲘᲑᲘᲠᲘᲐ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲛᲔ�გᲠᲔᲚᲝ“**, რომელიც გავრცელდა, როგორც სოციალურ ქსელებში, წიგნის მაღაზიებში, ისე მიმლიოთეკებში და მათ შორის – საქართველოს პარლამენტის ეროვნულ მიმლიოთეკაში“ – განაცხადა **ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲚᲣᲗᲐᲫᲐᲛ.**

მკითხველს მინდა წარვუდგინო რამდენიმე მოსაზრება ქალბატონ ნაზი ხანიშვილისა ,,საქართველო და კავკასია არასოდეს ყოფილა ქალდეველლაზ-მერძულ-მეგრელთა ე.წ. კოლხთა სამშობლო ქვეყანა. ისინი ყოველთვის იყვნენ მომთაბარე სემიტური ტომები... სიტყვა ღორ-ონ-თი (ღმერთი) სამი ნაწილისაგან შედგება, ღორი ქართული სიტყვაა, რო-

ჩვენი გულისწყრომა, მაგრამ ეს წიგნები განხილვის საგნად არ ღირდა“, – აღნიშნა მწერალმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის აღმინისტრაციის უფროსმა **ლაშა გვასალიამ.** მის ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა დამსწრეთა მეორე ჯგუფი, რომელთა განცხადებითაც მხოლოდ გულისწყრომით შემოფარგვლა არ იქნებოდა საკმარისი: (მათ შორის იყო საზოგადოების თავმჯდომარე). ამიტომაც მათ წერილები გაავგზავნეს სხვადასხვა ინსტანციაში, მათ შორის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ მიმლიოთეკაში: „საზოგადოება „ზუგდიდელს“ მოგვმართა მოქალაქეთა ჯგუფმა, რომლებმაც გამოთქვეს ღშფოთება ვინმე ნაზი ხანიაშვილის წიგნებში გადმოცემული ვარაუდების მიმართ, სადაც „ავტორი შეგნებულად თუ შეუგნებლად ძირს უთხრის ჩვენი ქვეყნ-

„გრაკლიანის“ გათხრების დროს აღმოჩენილი წარწერის საკითხზე მეცნიერთა შორის გამართული მსჯელობისას მან მკვეთრად უარყოფითი მოსაზრებები გამოაქვეყნა მეგრული ენისა და მხარის წარსულისადმი.

ყველას უნდა ესმოდეს, რომ სამეგრელო და სვანეთი საქართველოს ერთიანი ორგანიზმის განუყოფელი ნაწილი იყო და მარად ასე იქნება! მეგრელებისთვის და სვანებისთვის კულტურის, განათლების, ღვთისმსახურების სახელმწიფო ენად ყოველთვის იყო და არის ქართული. მათი ენა და ტრადიციები ერთ ფესვზე დგას. ერთად შეზრდილმა ამ სამმა ამონაყარმა საუკუნეებს გაუძლო. შეინარჩუნა ურთიერთპატივისცემა და ურღვევი თანაარსებობა. ჩვენი ქვეყნის ძლიერება დაფუძნებულია წარსულის ფასეულობებზე, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტკიცე საძირკველია.

აქ ბზარის შეტანა უმსგავსოებაზე მეტია. ეროვნული კონსოლიდაციის დარღვევის ყოველი მცდელობა დასაგმობი და ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია.

მადლობა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, ბატ. გიორგი კეკელიძეს, რომელმაც ნ. ხანიაშვილის წიგნები წაშალა ბიბლიოთეკის საიტიდან და გადაიტანა სპეციალურ ფონდში.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ,
სენაკის საპატიო მოქალაქე, აკ. წერეთლისა და ალ. ყაზბეგის პრემიების ლაურეატი;

ᲭᲐᲑᲣᲙᲐ ᲫᲝᲘᲐᲕᲐ,
მწერალი, ფოთის №8 საჯარო სკოლის დირექტორი;

ᲖᲐᲣᲠ ᲗᲔᲚᲘᲐ,
აბაშის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე;

ᲙᲝᲠᲜᲔᲚᲘ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ,
წალენჯიხის კულტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲐ,
ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის პედაგოგი.

40-ᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ 48 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ

ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲨᲔᲐᲛᲪᲘᲠᲐ ᲡᲠᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲘ, ᲠᲐᲪ ᲘᲛᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚᲔᲑᲛᲐ, ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ 40-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲐᲓᲐᲪᲘᲚᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲖᲔᲒᲐᲜᲐᲙᲕᲔᲗᲝᲣᲠᲘ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐ.

ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲠᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ?

ᲔᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲢᲘᲞᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲤᲧᲔᲕᲢᲝᲛᲐᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ. მაგალითად, სასწრაფო სამედიცნო დახმარება, პოლიცია, სასაზღვრო გამშვები პუნქტები. ანუ ისეთი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი სამუშაოები, რომელიც არ უნდა ჩერდებოდეს დღე-ღამის, თუ დასვებენის დღეებში.

ᲕᲘᲜ ᲐᲛᲝᲘᲦᲔᲡ ᲡᲠᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲘᲓᲐᲜ?

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ ᲐᲛᲝᲘᲦᲔᲡ 15 ᲓᲐᲠᲒᲘ. მაგალითად, ეს შეეხო სამკერვალოებს, რესტორნებში დასაქმებულ პერსონალს, სასტუმროებს, სუპერმარკეტების კონსულტანტებს.

მთავრობის გადაწყვეტილებით, ცვლილება შეეხო ყველა იმ დარგს, სადაც უწყვეტობისთვის აუცილებელი არაა დასაქმებულმა კვირაში 48 საათი იმუშაოს.

„ეს არის ის სეგმენტი, რომელიც ისედაც ძალიან დაბალ ანაზღაურებას იღებს, 500-დან 1000 ლარამდე. ვფიქრობ, მათთვის ყოველ (ზედმეტ) საათში დამატებული შემოსავალი სამართლიანია“, – თქვა ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ აზარაშვილმა 15 თებერვლის მთავრობის სხდომაზე.

ᲡᲠᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲘᲓᲐᲜ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘᲐ ᲐᲛᲝᲦᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ:

- სამთომოპოვებითი მრეწველობა;
- ტექსტილისა და ტექსტილის ნაწარმის წარმოება;
- ტყავის, ტყავის ნაწარმისა და ფეხსაცმლის წარმოება;
- ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა;
- საგამომცემლო საქმიანობა;
- კოქსის, ნავთობპროდუქტებისა და ბირთვული მასალების წარმოება;
- ქიმიური წარმოება;
- დანარჩენი არალითონური მინერალური ნაკეთობების წარმოება;
- მეტალურგიული მრეწველობა და ლითონის მზა ნაწარმის წარმოება;
- ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება;
- მშენებლობა;
- ვაჭრობა – ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი;
- სასტუმროები და რესტორნები;
- ზოგადი განათლება;
- პროფესიული განათლება.

ᲠᲝᲓᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲪᲘᲐ?

ᲣᲙᲕᲔ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ. მთავრობის დადგენილება 2023 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა, რაც ნიშნავს, რომ უკვე ერთი თვეა, დასაქმებულებს ახალი პირობებით უწევთ მუშაობა.

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲡ ᲔᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ?

ᲡᲐᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲝ ᲛᲘᲖᲜᲔᲡᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲪᲘᲐ ᲔᲮᲔᲑᲐ. რესტორატორთა ასოციაციის დამფუძნებელი შოთა ბურჯანაძე ერთი მხრივ აღიარებს, რომ ეს ცვლილება შრომით უფლებებს უკეთ დაიცავს, თუმცა მეორე მხრივ ამბობს იმასაც, რომ ცვლილება არ იქნება იოლი მისაღები მიზნესისთვის.

„იმდენად დიდ ფასეულობასთან გვაქვს საქმე, რომელიც გულისხმობს ადამიანის უფლებებს, ამაზე უარყოფითი შეფასება ვერ წარმომიდგენია, მაგრამ გამოწვევები რჩება... დღეს ძალიან დიდი დეფიციტია კადრების და ეს გადაწყვეტილება მიზნესისთვის იქნება დამატებითი მატერიალური ვალდებულებები“.

მას მიაჩნია, რომ სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს პროფესიული სასწავლებლების შექმნით, სადაც მომზადდებიან დეფიციტური კადრები: **„დღეს 55 ათასი უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულია, პროფესიულ სასწავლებლებში – 5 ათასი“.**

კითხვას, შეიძლება თუ არა, ცვლილება მომსახურების ფასების ზრდაზე აისახოს, შოთა ბურჯანაძე მკაფიოდ არ პასუხობს:

„რაღაც მომენტში, შესაძლებელია, ეს ფასებზე აისახოს, მაგრამ არა მგონია, ეს გარკვეულწილად თვალშისაცემი იყოს, იქიდან გამომდინარე, რომ ფასების ზრდა ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს მომხმარებელზე. დღეს სარესტორნო სფეროს ძალიან დიდი მოთხოვნა აქვს, შესაბამისად, განაწყენებული მომხმარებელი არცერთ მიზნესოპერატორს არ უნდა. ამიტომ ფასების ზრდა ვერ იქნება აუცილებლობა“.

ᲠᲐ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲡᲠᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ?

ᲡᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ 48-ᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ ᲐᲥᲕᲗ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲣᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲪᲘᲙᲚᲘ, ᲗᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ:

- სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის მიმართულებები; დამამუშავებელი წარმოების მიმართულებები – კვების პროდუქტების წარმოება;
- ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება; წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები;
- ტრანსპორტი და დასაწყობება;
- ინფორმაცია და კომუნიკაციის მიმართულებები – ტელეკომუნიკაციები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობების მიმართულებები – უსაფრთხოების დაცვისა და საგამომძიებლო საქმიანობები – სატელეფონო ცენტრების მომსახურება;
- **სახელმწიფო მმართველობის მიმართულებები:** დაბეგვრის სისტემების მართვა, საქონელზე გადასახადების გაჟის შეგროვება და საგადასახადო დარღვევების გამოძიება, საბაჟოს მართვა; ჯანდაცვის, განათლების, კულტურული მომსახურებისა და სხვა სოციალური მომსახურების საქმიანობის რეგულირება, სოციალური უსაფრთხოების გარდა;
- ციხეების ადმინისტრირება და გამოსასწორებელი მომსახურების გაწევა, სარეაბილიტაციო მომსახურების ჩათვლით; სახანძრო მომსახურების საქმიანობები;
- სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების საქმიანობები;
- ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები;
- ელექტროენერგიის წარმოების, განაწილებისა და გადაცემის საქმიანობა;
- ბუნებრივი გაზის განაწილება და გადაცემის საქმიანობა;
- საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული საქმიანობა, რომელიც უკავშირდება სასამართლოებში, სხვა სამართალდამცავ ორგანოებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში ან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარის ან პროცესის მონაწილის ინტერესების წარდგენას;

გარემოს დაცვის დარგი – ჰიდრომეტეოროლოგია; ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა; დაცული ტერიტორიების დაცვა; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობის სფეროში კონტროლის განხორციელება.

ᲕᲘᲜ ᲒᲐᲐᲙᲝᲜᲒᲠᲝᲚᲔᲑᲡ ᲐᲠᲐᲡᲠᲔᲪᲘᲤᲘᲙᲣᲠ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ ᲓᲐᲛᲡᲐᲥᲛᲔᲑᲔᲚᲡ?

ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲠᲝᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲔᲒᲐᲜᲐᲙᲕᲔᲗᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲣᲬᲔᲕᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐᲡ. დასაქმებულს შეუძლია, ამ უწყებას მიმართოს ცხელ ხაზზე (15-75) და აცნობოს, თუკი მისი შრომითი უფლება დაირღვევა.

ᲒᲕᲐᲜᲪᲐ ᲜᲔᲛᲡᲐᲫᲔ,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი ლევან მამალაძე:

ჰეიდარ ალიევი არის თანამედროვე და დამოუკიდებელი აზერბაიჯანის სახელმწიფოს არქიტექტორი

ჩემთვის დიდი პატივია ჰეიდარ ალიევისნაირ გენიალურ ადამიანზე საუბარი. ძალიან მეედნიერი ვარ, რომ ჩემი სხვადასხვა განსაკუთრებით საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ყოფნისას ვისარგებლე ასეთი ისტორიული მოღვაწის რჩევებით.

ბავშვობიდან მჭიდრო კავშირში ვარ აზერბაიჯანთან. 1992 წელს, როცა 23 წლის ვიყავი, ამირჩიეს საქართველოს პარლამენტის დეპუტატად და გავხდი საქართველო-აზერბაიჯანის საპარლამენტთაშორისო კომისიის ხელმძღვანელი. მას შემდეგ, რაც ქვემო-ქართლის რეგიონიდან ამირჩიეს დეპუტატად, მივიღე სასწრაფო ზომები რეგიონში მცხოვრები აზერბაიჯანელებისა და რეგიონის სხვა ხალხების უფლებების დასაცავად. იმ რთულ პერიოდში მოვახერხეთ, ყველა აზერბაიჯანელში ჩაგვენერგა იმის განცდა, რომ საქართველო არის მათი სამშობლო.

სწორედ ჰეიდარ ალიევის დაბრუნებამ ნახიჩევანიდან ბაქოში, 1990-იანი წლების დასაწყისში, დაასრულა აზერბაიჯანში გაბატონებული არეულობა. მე ვიტყოდი, რომ აზერბაიჯანელი ხალხი ბედნიერი ერია, რომ ჰყავდათ ასეთი გამორჩეული ლიდერი და მან თავისი ხალხი გადაარჩინა არსებული პოლიტიკური დაძაბულობისა და განხეთქილებისგან.

აზერბაიჯანში დაბრუნების შემდეგ, ჰეიდარ ალიევმა ჩამოაყალიბა აზერბაიჯანის ძლიერი სახელმწიფო და ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპები დაამყარა. მან თავისი მიზანმიმართული აქტიურობით ახალ პოლიტიკურ ასპარეზად აქცია კასპიისა და შავი ზღვის დერეფანი. მე ვიტყოდი, რომ ჰეიდარ ალიევმა განსაკუთრებული როლი ითამაშა აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის რესურსების მსოფლიო აღიარებაში.

1994 წელს ქვემო ქართლის გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ, ჩვენი მთავარი მიზანი იყო, რომ ჩვენი თანამემამულეები საცხოვრებლად აზერბაიჯანში არ გადასულიყვნენ. ვცდილობდი, ყველა აზერბაიჯანულ ოჯახში შევსულიყავი და დამეცვა ისინი, ვცდილობდი ამეხსნა მათთვის, რომ საქართველოც არის ყველა აზერბაიჯანელის სამშობლო. ჩვენი ეს საშინაო პოლიტიკა აზერბაიჯანის სახელმწიფომ ძალიან შეაფასა და ჩვენს შორის ურთიერთნდობაც გაძლიერდა. ჰეიდარ ალიევის ხელმძღვანელობით ორ ქვეყანას შორის განსაკუთრებული, უიშვიათესი ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

მაგრამ იყო პრობლემებიც. იმ დროს ჩვენი მოქალაქეები, უფრო სწორად, სოფელ სადახლოს მცხოვრებნი სომხებმა დააკავეს და სომხეთთან ვაჭრობის გამო მათ ტერორისტები უწოდეს. ჩვენ, როგორც მთავრობამ, გავათავისუფლეთ ჩვენი აზერბაიჯანელი მოქალაქეები ციხიდან და ვცდილობდით სომხეთთან ვითარების ნორმალიზებას.

მახსოვს: **„როცა ჰეიდარ ალიევს ვხვდებოდი, ის ყოველთვის მეუბნებოდა: „ახალგაზრდავ, როგორ ხარ? რა ხდება?“ როდესაც ბაქოში ხის დარგვის ცერემონია გაიმართა, მან დამირეკა, ნერგი მაჩუქა და მითხრა, „დარგე შენი ხე ჩემს ხესთან ახლოს“.**

მე მჯერა, რომ ის ნერგები, რომლებიც გვერდიგვერდ დავრგეთ, უკვე დიდ ტოტებიან ხეებად გადაიქცა.

1998 წელს ჰეიდარ ალიევის საქართველოში ვიზიტის გახსენებისას ლ. მამალაძემ თქვა: ამ ვიზიტის დროს მეც მივიღე მონაწილეობა გამოსამშვიდობებელ ცერემონიალში. ჰეიდარ ალიევმა დამინახა და ედუარდ შევარდნაძეს უთხრა, **„ამ ახალგაზრდამ დიდი საქმეები გააკეთა აზერბაიჯანისთვის“. იმ დროს სხვა სამსახურში უნდა წავსულიყავი. რა თქმა უნდა, ჰეიდარ ალიევის სიტყვების შემდეგ დავრჩი ჩემს პოსტზე“.**

ტრასეკას ხიდის გახსნისას ძალიან უცნაური ვითარება შეიქმნა. განიხილეს აზერბაიჯანის საბაჟო პუნქტისთვის ტერიტორიის ნაკლებობის საკითხი. ამ საკითხმაც იპოვა თავისი დადებითი გადაწყვეტა.

საბჭოთა პერიოდში რუსთავის მეტალურგიული ქარხანა რკინას დაშკასანის საბადოებიდან მოტანილი სამთო ჩიპებიდან აწარმოებდა. ეს ურთიერთობები ჩვენი დამოუკიდებლობის პირველ წლებში გაწყდა. ე. შევარდნაძემ დამავალა ძველი ურთიერთობების აღდგენა და ამ მაღაროს ნედლეულიდან წარმოებული რკინის მილების გამოყენება ნავთობსადენების ექსპლუატაციაში.

...ამ საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, ბაქოს დიდ დელეგაციასთან ერთად ვესტუმრე. ჰეიდარ ალიევმა თავის ოთახში მიგვიღო. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ნავთობსადენების წარმოება რუსთავში უნდა ყოფილიყო და ეს მილები ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისთვის გამოიყენებოდა. შეხვედრის შემდეგ ყველა ოთახიდან გავიდა, მან უცებ გამაჩერა, ხელი მომკიდა და მითხრა: **„მადლობას გიხდით იმ საქმისთვის, რომელიც გაწეული გაქვთ აზერბაიჯანელი ხალხის სახელით“!..**

ჰეიდარ ალიევი მართლაც გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა იყო.

* * *

„დღეს პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ღირსეულად აგრძელებს ჰეიდარ ალიევის პოლიტიკურ კურსს. ილჰამ ალიევმა აღადგინა აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა. მე ვიტყოდი, რომ ის არის ლიდერი, რომელიც დიდ პოლიტიკურ როლს ასრულებს ჰეიდარ ალიევის მიერ შექმნილი სახელმწიფოს შემდგომ გაძლიერებაში.

აზერბაიჯანელი ხალხი ჰეიდარ ალიევის 100 წლის იუბილეს აღნიშნავს. ეს გამორჩეული პიროვნება, რომელიც პირად ურთიერთობაში ძალიან თბილი და უბრალო იყო, ასევე იყო პოლიტიკური ფიგურა, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოსთან მეგობრობას და დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ქართველ ხალხს ამ სიტყვის სრული გაგებით.

„მცოდნე პირთა“ წვლილი საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის შემუშავებაში

კობა ყალიჩავა,
სამართლის დოქტორი, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი.



საქართველოს
კონსტიტუცია
მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის თებერვლის 21.

მუხლი 1.
საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო.
მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.
მუხლი 2.
საქართველოს დედა ქალაქი არის ტფილისი.
მუხლი 3.
საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა არის ქართული ენა.

დებულება „სასამართლო ხელისუფლების შესახებ“

მწვავე დისკუსია გამოუწვევია გ. ნანეიშვილის მიერ შემუშავებული დებულების პროექტს „სასამართლო ხელისუფლების შესახებ“. კანონპროექტი ათი მუხლისაგან შედგებოდა. მისი განხილვა 1919 წლის 8 იანვარს გაიმართა. დავა გამოიწვია მე-8 მუხლის დანაწესმა, რომლის თანახმად, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი არსებობდა ყოველგვარი სისხლის სამართლის, პოლიტიკური და აგრეთვე ბეჭდვითი დანაშაულისათვის“. ამ დებულებას წინააღმდეგობა გაუწია ს. ჯაფარიძემ. მისი აზრით, ეს მექანიზმი თეორიულად დასაშვებია, მაგრამ „პრაქტიკულად შეუძლებელია ამ მოთხოვნის განხორციელება“. გ. ნანეიშვილი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამ მუხლის გამოტოვებას, ვინაიდან მას დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას“ ანიჭებდა. თუმცა, საბოლოოდ ამ ნორმის მოქმედების არეალი შემცირდა, გადაწყდა, რომ სიტყვა „ყოველგვარი“ შეცვლილიყო სიტყვით „მძიმე“.

დისკუსია გამოიწვია აგრეთვე „სასამართლო ხელისუფლების შესახებ“ დებულების პროექტის მე-10 მუხლმა, რომელიც ეხებოდა მსაჯულის თანამდებობრივ ხელშეუხებლობას. აღსანიშნავია, რომ მაშინდელი მოქმედი კანონმდებლობით, მინისტრს შეეძლო, დროებით რომელიმე მსაჯულის ადგილი გაეუქმებინა ან დაეხურა, ხოლო კვლავ განახლების შემთხვევაში სხვა პირი დაენიშნა ამ თანამდებობაზე. მე-10 მუხლი სწორედ ამ წესს ეწინააღმდეგებოდა. ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება, რომ ეს მუხლი გამოეტოვებინათ, „ვინაიდან მომრიგებელ მოსამართლეს ვადით არ ირჩევენ და საჭიროება არ მოითხოვს ამგვარ კონსტიტუციურ რეგლამენტაციას“. გ. ნანეიშვილი პრინციპულად იცავდა ამ დებულებას და ამბობდა, რომ „მოსამართლეს უნდა შეექმნას ისეთი გარემოება, რომ მას გულდამშვიდებულად შეეძლოს მუშაობა ვადის გასვლამდე. არ უნდა იყოს მუდმივი შიში, რომ დღეს ან ხვალ მას დაითხოვენ და უჯამაგიროდ დარჩება“. მან მისი გამოსვლა შემდეგნაირად დაამთავრა: „მოსამართლეს გარანტირებული უნდა ჰქონდეს რიგიანი და გულიანი შრომის შესაძლებლობა“. კენჭისყრაზე მიღებული გადაწყვეტილებით „მსაჯულის დათხოვნა ან დროებით გადაყენება თანამდებობიდან მისი სურვილის საწინააღმდეგოდ აიკრძალა, თუ ამის შესახებ არ იქნება სასამართლოს სათანადო დადგენილება.“

„სასამართლო ხელისუფლების შესახებ“ დებულების პროექტის საბოლოო რედაქცია 1919 წლის 19 იანვარს მიიღეს. გამოტოვეს პირველი და მეორე მუხლები, რომელშიც კონკრეტულად იყო ჩამოყალიბებული მართლმსაჯულების განხორციელების ინსტანციები და კომპეტენცია. იგი შეიცვალა ზოგადი დებულებით: „სასამართლოს ორგანიზაციას, ფორმებს, კომპეტენციას და იურისდიქციას საზღვრავს ცალკე კანონი“.

დებულება „ეკლესიისა და სახელმწიფოს შესახებ“

ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის წინაშე მწვავე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საკითხი. კომისიამ „ეკლესიისა და სახელმწიფოს შესახებ“ დებულების შემუშავებაც გ. ნანეიშვილს დაავალა. აშშ-ისა და საფრანგეთის კონსტიტუციების გამოცდილების გათვალისწინებით, „ეკლესიისა და სახელმწიფოს შესახებ“ დებულების გ. ნანეიშვილის მიერ შემოთავაზებულ პროექტს საფუძვლად დაედო სამი ძირითადი პრინციპი: 1) ეკლესია ჩამოშორებულია სახელმწიფოს; 2) სახელმწიფო ხარჯს არ გასწევს ეკლესიის შესანახად; 3) არც ერთი რელიგიური კულტი არ სარგებლობს უპირატესობით. კომისიაში დავა გამოიწვია ფინანსური დახმარების საკითხმა. ს. ჯაფარიძე აღნიშნავდა, რომ „თუ სახელმწიფო ხარჯს არ გაიღებს ეკლესიის შესანახად, შიში აჯანყებისა და უკმაყოფილებისა ყოველთვის იქნება.“

მართალია, კომისიის წევრებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ მოცემულ მომენტში ეკლესიას ფინანსური მხარდაჭერის გარეშე გაუჭირდებოდა და ამას შეიძლება მძიმე შედეგებიც მოჰყოლოდა, თუმცა მათ გააზრებული ჰქონდათ ისიც, რომ უმისოდ სახელმწიფოსა და ეკლესიის საბოლოო განცალკევება (სეკულარიზაცია) მიუღწეველი იქნებოდა. ამიტომაც კომისიის წევრთა უმრავლესობის მხარდაჭერით, ეკლესიისთვის სახელმწიფო ხაზინიდან ყოველგვარი ფინანსური დახმარება აიკრძალა. უცვლელად იქნა დატოვებული კანონპროექტის სხვა პუნქტებიც.

დებულება „მოხელეთა უფლება-მოვალეობათა შესახებ“

კონსტანტინე მიქელაძის ავტორობით მომზადდა დებულება „მოხელეთა უფლება-მოვალეობანი“ შესახებ. ამ თავზე მუშაობა კ. მიქელაძემ ჯერ კიდევ ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის ფარგლებში დაიწყო. კომისიის 1918 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება კომისიის წევრებს შორის „კონსტიტუციის დებულებათა შემუშავების განაწილების“ თაობაზე, რომლის თანახმად, „კორპორაციული უფლებების“ შემუშავება დაევალა მ. ჩხეიძეს, ხოლო „მოხელეთა უფლება-მოვალეობანი“-ის თაობაზე დებულების შემუშავება - კ. მიქელაძეს.

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის საბოლოო რედაქციაში მოხელეთა უფლებებთან დაკავშირებული დებულებები მოიცავს 4 მუხლს. მიქელაძის მიერ შემუშავებული პროექტი კი 7 მუხლს მოიცავდა. დისკუსიების შედეგად მოხდა მისი საბოლოო ვერსიის სახით ფორმულირება. პროექტის განხილვის საკითხი მხოლოდ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 24 მაისის სხდომაზე მოხდა.

დისკუსია გამოიწვია დებულების პროექტის პირველმა მუხლმა, რომლის თანახმად, „სახელმწიფო მოხელეს ნიშნავს და ცვლის მთავრობა და კანონში აღნიშნული თანამდებობის პირები.“ თუმცა აღნიშნული რედაქცია შეიცვალა გ. ნანეიშვილის წინადადებით, რომლის თანახმად, „ყოველ თანამდებობაზე შეიძლება მიღებული იქნეს ყოველი მოქალაქე, თუ იგი ამ კანონში აღნიშნულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს“.

რ. არსენიძისა და გ. ნანეიშვილის წინადადებით, დებულებიდან ამოღებული იქნა მე-3-მე-5 მუხლები, რომელიც ეხებოდა „უვარგისობისათვის“ მოხელის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და მისი „სამართალში“ მოცემის საკითხებს. დებულების პროექტის მე-6 და მე-7 მუხლების საბოლოო რედაქცია კომისიის მიერ მიღებული იქნა გ. გვაზავასა და გ. ნანეიშვილის წინადადებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 21

დებულება „რესპუბლიკის ჯარის შესახებ“

გიორგი ნანეიშვილი მოწვევის დღიდანვე (ანუ 1918 წლის 6 ივლისიდან) აქტიურად ჩაერთო ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში. მაშინ იხილებოდა სამსონ დადიანის მიერ წარმოდგენილი დებულების პროექტი „რესპუბლიკის ჯარის შესახებ“. პროექტის მე-14 მუხლის თანახმად, „მოქალაქის ემიგრაციას (ქვეშევრდომობიდან გასვლას) ხელს ვერ შეუშლიდა სამხედრო ბეგარის შეუსრულებლობა“. ამ ჩანაწერთან დაკავშირებით, გიორგი ნანეიშვილმა საკითხი სხვაგვარად დააყენა. მისი თქმით, „ვინც სარგებლობს ყველა უფლებით, მოვალეა აასრულოს ყველა ვალდებულებაც. თუ მოქალაქეებს ისეთი შეღავათი დაუწესდა, როგორც მე-14 მუხლშია მოცემული, ჩვენ ბევრს ქვეშევრდომობიდან გასვლის შესაძლებლობას მივცემთ, რითაც დაირღვევა 1%-ის გაყვანის მუხლი. ომიანობის დროს ეს კანონი ცუდ გავლენას იქონიებს ჩვენს საომარ მდგომარეობაზე“.

განსაკუთრებით მწვავე იყო გიორგი ნანეიშვილის შენიშვნა „რესპუბლიკის ჯარის შესახებ“ დებულების მე-4-მე-8 მუხლების მიმართ. ამ მუხლების თანახმად, მთელი ჯარი ხმელეთზე და ზღვაზე მხოლოდ პარლამენტის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო. აგრეთვე, მთავარსარდლებისა და ციხესიმაგრეების უფროსების დანიშვნის უფლება მხოლოდ პარლამენტის პრეროგატივაში იქნებოდა, ხოლო სამხედრო ბიუჯეტი ყოველწლიურად საკანონმდებლო ორგანოს უნდა დაემტკიცებინა. ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 27 ივლისის სხდომაზე გ. ნანეიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ზემოთ მოცემულ ყველა დებულებას ეწინააღმდეგებოდა. ის აცხადებდა, რომ „არც ერთი ქვეყნის კონსტიტუციით პარლამენტს მინიჭებული არა აქვს ადმინისტრაციული მიზნის განხორციელების უფლება. ამიტომაც, საბჭოს მხოლოდ მაშინ შეეძლება მოსთხოვოს პასუხი მთავრობას, თუ ამ უკანასკნელს თავის განკარგულებაში ეყოლება შეიარაღებული ძალები. იგი მიუღებლად თვლიდა სამხედრო ბიუჯეტთან დაკავშირებულ დებულებასაც, „ვინაიდან სახელმწიფოში ბიუჯეტი ერთიანია, რომელშიც სამხედრო ხარჯები შედის როგორც ერთი ნაწილი“. მისი თქმით, „ცალკე სამხედრო ხარჯები იმ სახელმწიფოშია, სადაც იგი ჯავშანგადაკრულად ითვლება“. ამ უკანასკნელის საილუსტრაციოდ კი მას გერმანიის მაგალითი მოჰქონდა.

ამ და სხვა მსგავსი შენიშვნების შემდეგ ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიამ დაადგინა, რომ „მომხსენებელს დაევალოს, შემდეგი სხდომისთვის წარმოადგინოს გადამუშავებული რედაქცია განხილული მუხლების მიმართ გამოთქმული აზრების თანახმად“. ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიამ ამ პროექტების საბოლოო რედაქცია, გ. ნანეიშვილის მიერ შემოთავაზებული ყველა წინადადების გაზიარებით, 1918 წლის 7 აგვისტოს სხდომაზე დაამტკიცა. ნათელია, რომ ამ დოკუმენტს „...თავისებური დაღი დაასვა უაღრესი დემოკრატიისაკენ სწრაფვამ“. ეს იყო იურიდიულად გამართული დოკუმენტი, სადაც კარგად აისახა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის იდეა, ბიუჯეტის ფორმირების მეთოდი, სახელმწიფოში კანონშემოქმედებისა და ადმინისტრაციული ნაწილის გამიჯვნის პრინციპი და მთავრობის მიერ სამხედრო საკითხების უფრო სწრაფად და ეფექტურად გადაწყვეტის მნიშვნელობა.

დებულება „მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების შესახებ“

როგორც ცნობილია, 1921 წლის კონსტიტუციას საფუძვლად დაედო ერისა და პიროვნების თავისუფლება. ამიტომ იმას, თუ როგორი იქნებოდა დებულება „მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების შესახებ“, გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა საერთაშორისო საზოგადოების მიერ კონსტიტუციის დადებითად შეფასებისა და შიდაპოლიტიკური ცხოვრების ლეგიტიმაციის საქმეში.

ამ საკითხის მიმართ ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. 1918 წლის 13 ივლისის სხდომაზე კომისიამ ამ დებულების მომზადება პ. საყვარელიძეს დაავალა, მაგრამ ამ უკანასკნელმა, სულ რაღაც სამი დღის შემდეგ, 17 ივლისის სხდომაზე განაცხადა, რომ მას დიდი შრომა დაეწვა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოცემის გამო და ამიტომაც ითხოვა „სამოქალაქო უფლებების“ შემუშავება მის მაგიერ დაევალოს გ. ნანეიშვილს. შესაბამისად, კომისიამ გ. ნანეიშვილის სახელზე შეადგინა ბარათი: „საკონსტიტუციო კომისიამ დაადგინა, გთხოვოთ თქვენ, იკისროთ კომისიის დახმარება და შეიმუშაოთ საქართველოს კონსტიტუციის ერთ ნაწილი „სამოქალაქო უფლებანი“.

კანონპროექტში, რომელიც გ. ნანეიშვილმა 1918 წლის 17 აგვისტოს წარუდგინა ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიას, გარანტირებული იყო ადამიანის ყველა კატეგორიის (პირადი, პოლიტიკური, სოციალური, გარდა სიცოცხლისა) უფლება. მასში დაცული იყო პიროვნების ხელშეუხებლობა, სიტყვისა და შეკრების თავისუფლება, კერძო საკუთრების უფლება, რწმენის თავისუფლება, განათლების მიღების უფლება და ა.შ. ამასთანავე, მოქალაქეები ვალდებული იყვნენ, მოეხადათ სამხედრო ბეგარა, გადაეხადათ კანონით დაწესებული გადასახადი და სხვა. საკონსტიტუციო კომისიამ ამ კანონპროექტის ჩვიდმეტივე მუხლი უმნიშვნელო შესწორებით 1918 წლის 17 აგვისტოს მიიღო. ნიშანდობლივია, რომ ასეთივე უმნიშვნელო ცვლილებით იქნა მიღებული გ. ნანეიშვილის მიერ შემუშავებული დებულება „სახელმწიფო ფინანსების შესახებ“, რომელიც 1918 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში იხილებოდა.

„თებერვლის გაკვეთილები“

თოვდა და თბილისს ეხურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი...
...შემოდიოდა სიკვდილი ცელით!

სხვა დებულებათა პროექტები

როგორც უკვე აღინიშნა, საკონსტიტუციო კომისიის მეორე ეტაპი დაიწყო 1919 წლის 18 მარტს, როცა დამფუძნებელმა კრებამ აირჩია კომისიის ახალი შემადგენლობა. კომისიამ თავიდან დაიწყო კონსტიტუციის თითოეულ თავზე მუშაობა.

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში გ. ნანეიშვილმა შეიმუშავა სამი მნიშვნელოვანი დებულება, კერძოდ, „სახელმწიფო და ეკლესია“, „სახელმწიფო ფინანსები“, „კონსტიტუციის გადასინჯვა“. კონსტიტუციის ეს თავები დამფუძნებელმა კრებამ ცნობილი მიზეზების გამო დაჩქარებულად მიიღო. ამიტომ მათი ის ვარიანტები, რომელიც დაცულია არქივში, იდენტურია 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ ტექსტთან. საბოლოო ტექსტის შესაბამის თავებს საფუძვლად დაედო აგრეთვე ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში მის მიერ შექმნილი სხვა თავები (სამოქალაქო უფლებები და სასამართლო ხელისუფლება).

კონსტიტუციის მიღება

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიღების დაგვიანება თავად კომისიის მუშაობის მიზეზითაც იყო განპირობებული. საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა 1920 წლის 7 თებერვალს მიმართა საკონსტიტუციო კომისიას და შეახსენა კონსტიტუციის პროექტის წარმოდგენის ვადა, რომელიც მას უკვე დარღვეული ჰქონდა. მიმართვაში საუბარი იყო იმაზე, რომ „იანვარმაც განვლო, მაგრამ კონსტიტუციის დამფუძნებელ კრებისათვის წარდგენისა არავითარი ნიშანი არა სჩანს, არც ის იცის პრეზიდიუმმა, – სახელდობრ როდის უნდა მოველოდეთ მის შემოტანას“.

ამ მიმართვის შემდეგ, საკონსტიტუციო კომისიის მიერ გადაწყდა, მომხდარიყო უკვე მომზადებული დებულებების სისტემატიზაცია. ჰ. საყვარელიძის ინიციატივით, „ზუნდოვანების თავიდან აცილების“ მიზნით, კონსტიტუცია უნდა დაყოფილიყო თავებად და მუხლებად. კონსტიტუციის პირველი ვერსია სწორედ ამ პრინციპით დალაგდა. 1920 წლის ივნისს საკონსტიტუციო კომისიის მიერ დამფუძნებელი კრებისათვის გაგზავნილი კონსტიტუციის პროექტის ნაბეჭდი ვერსია შედგებოდა 17 თავისა და 166 მუხლისაგან. ამ ტექსტის ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს მის საგანგებო სხდომაზე, თბილისის მისადგომებთან რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში მიიღოს საქართველოს პირველი კონსტიტუცია. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის გამოქვეყნებაც არაორდინარულად მოხდა. საქართველოს ოკუპაციის გამო, მისი გამოცემა, ცხადია, საქართველოს დედაქალაქში ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ მისი დასტამბვა მოხდა 1921 წლის მარტის შუა რიცხვებში, ქ. ბათუმში, ამავე ქალაქის პორტიდან საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლამდე.

დასკვნა

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის შემმუშავებელმა კომისიებმა, იმ დროს ქვეყანაში სათანადო გამოცდილების არარსებობის მიუხედავად, მოახერხეს პირველი კონსტიტუციისთვის უმთავრეს სარჩულად დაედოთ დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპები.

ეს მიღწევა, ერთი მხრივ, განპირობებული იყო მაშინ არსებული ხელსაყრელი ისტორიული და პოლიტიკური წინაპირობებით, ხოლო, მეორე მხრივ, საკონსტიტუციო კომისიის წევრების განათლებულობით და ევროპული ღირებულებებისა და გამოცდილების უაღრესად კარგი ცოდნით. ვფიქრობ, ეს კარგად გამოჩნდა „მცოდნე პირების“ კომისიაში მუშაობის მაგალითზე. მათ მიერ შეიქმნა პირველი კონსტიტუციის რამდენიმე მნიშვნელოვანი თავი. ამავე დროს, ამ თავის შემუშავების გარდა, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული საკონსტიტუციო კომისიების სხდომების ფარგლებში კონსტიტუციის სხვა დებულებათა განხილვასთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა მათი მოსაზრებებისა და წინადადებების გაზიარება. ამ თვალსაზრისით, კომისიის ოფიციალურ (პარტიულ) და მოწვეულ წევრებს შორის რაიმე განსხვავება არ იგრძნობოდა. კომისია იზიარებდა ყოველგვარ იურიდიულად არგუმენტირებულ წინადადებას, მიუხედავად იმისა, იქნებოდა იგი შემოთავაზებული ოფიციალური წევრებისა თუ მოწვეული პირებისაგან.

1918 წლის 26 მაისს საქართველომ ფართოდ გაუღო კარი დემოკრატიული პრინციპებების დამკვიდრებას, რასაც თვალნათლივ ადასტურებს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. იგი საქართველოს პარლამენტმა მიიღო საბჭოთა ოკუპაციამდე რამდენიმე დღით ადრე, რაც ნათლად ადასტურებს დემოკრატიისადმი ქართველი ხალხის ერთგულებას.

1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს დედაქალაქში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის ნაწილები შემოვიდნენ. თბილისში შემოსვლამდე ოკუპანტებმა უკვე დატოვეს სისხლიანი კვალი, დაიღუპნენ გულანთებული ქართველი პატრიოტები. ამასთან, ეს აღმოჩნდა დასაწყისი იმ ენით აღუწერელი სისასტიკისა, რომელსაც სისტემური ხასიათი ჰქონდა საბჭოთა ოკუპაციის 70 წლის განმავლობაში. ისტორიამ ნაკლებად იცის უფრო დაუნდობელი და ანტიჰუმანური სახელმწიფო, ვიდრე ბოლშევიკების მიერ შექმნილი საბჭოთა კავშირი. ათიათასობით საქართველოს მოქალაქე დაიღუპა ძალადობრივი სიკვდილით.

მიუხედავად მძიმე ვითარებისა, საქართველოს მოსახლეობას არ შეუწყვეტია თავგანწირული ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ. მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. ეს ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა ეროვნული მოძრაობის აზვირთების შემდეგ გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს.

ეს ჩვენი ქვეყნის უდიდესი გამარჯვება იყო, რომელსაც საფუძვლად ედო სრულიად ქართული კონსენსუსი, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, აგრეთვე, ეროვნული ხელისუფლების სწორი, იმავდროულად, რისკიანი და თავდადებული მოქმედება.

მიმდინარე პერიოდში საერთაშორისო ვითარება კრიტიკულად დაიძაბა 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ, როდესაც რუსეთმა წამოიწყო აგრესიული ომი უკრაინაში. სასიცოცხლო საფრთხე არა მხოლოდ უკრაინას დაემუქრა, არამედ ევროპის კონტინენტს მთლიანად. კავკასიის რეგიონიც ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობს იმპერიის აღდგენას, რისი პირველი ნიშანიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი იყო. ამას 2014 წელს ყირიმის ანექსია მოჰყვა. სამწუხაროდ, თავისუფალი სამყარო არ აღმოჩნდა მზად კრემლის შესაჩერებლად. ორივე შემთხვევაში რუსეთმა მიაღწია სტრატეგიულ მოულოდნელობას და უპირატესობას.

ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. დასავლეთში ჯერ კიდევ მყარი იყო ილუზია რუსეთის „მოთვინიერებისა და მისი ნორმალურ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ ქცევისა. თანაც ენერგორესურსების თვალსაზრისით ევროპა მთლიანად რუსეთზე აღმოჩნდა დამოკიდებული. ზოგადად უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული სამყაროს სტრატეგია მოსკოვთან მიმართებით თითქმის მცდარი და არაშორსმჭვრეტელური აღმოჩნდა. გათამამებული კრემლი სისხლს უკვე ევროპის ტერიტორიაზე, უკრაინაში ღვრის.

რუსეთის იმპერიას აღდგენის, რეგენერაციის წარმატებული გამოცდილება გააჩნია. სწორედ ასე მოხდა XX საუკუნის პირველ მეოთხედში, რასაც შეეწირა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და რამდენიმე ათწლეულით შეფერხდა ქვეყნის განვითარება. ანალოგიურ პროცესებს ვადევნებთ თვალყურს დღესაც და თუკი რუსეთი უკრაინაში თავის მიზნებს მიაღწევს, ჩვენ მოწმენი ვიქნებით იმპერიის აღდგენის პირველი ფაზისა, რასაც, დიდი ალბათობით, მოჰყვება კავკასიის დამორჩილების მცდელობა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ უკრაინის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას ნიშნავს აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

რასაკვირველია, სადღეისოდ იმპერიალისტური ზრახვების რეალიზაცია რუსეთს ძალზე გაუჭირდება. მას არ გააჩნია არანაირი მიმზიდველობა და ახალი იდეა. ამჯერად კრემლის აგრესიას მხოლოდ პოლიტიკური და გეოსტრატეგიული ხასიათი აქვს და აშკარად მტაცებლურ ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, საფრთხე მაინც ძალზე დიდია, მით უმეტეს, რომ მირთვული იარაღის ეპოქაში ვცხოვრობთ, ისტორიის გამოცდილება კი ადასტურებს, რომ ევროპის ტერიტორიაზე დაწყებული კონფლიქტი იოლად შეიძლება მთელ მსოფლიოზე გავრცელდეს. განსაკუთრებით სახიფათო ვითარებაში არის საქართველო. კონფლიქტი ხომ უკვე ერთი წელია, შავი ზღვის აკვატორიაში მიმდინარეობს.

სწორედ პონტოს ზღვა არის დამაკავშირებელი საქართველოსა და ევროპას შორის, აქვე გადის ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ევროპა-აზიის დამაკავშირებელი გზა და მილსადენები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2008 წლის ომის ერთ-ერთი მიზეზი ენერგომატარებლების გადატანის ახალი მაგისტრალი იყო, რომელსაც რუსეთი ვერ აკონტროლებდა. ამჯერად იგი შეეცდება დასავლეთთან ტოტალური დაპირისპირების ეს პერიოდი ისე დაასრულოს, რომ ევროპის ენერგომომარაგება მთლიანად ჩაიგდოს ხელში; რითაც საქართველოს დამოუკიდებლობას და მის დასავლეთთან ინტეგრაციას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს, რომ ანაკლიის პროექტის შეჩერება (რითაც არ უნდა ყოფილიყო იგი გამოწვეული), საქართველოს ხელისუფლების დიდი შეცდომა იყო და ეს სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

სადღეისოდ რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტის ძირითადი მახასიათებელი ის არის, რომ დასავლეთის სამყაროს (ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით) ამჯერად კარგად აქვს გაცნობიერებული ის საფრთხეები, რასაც აგრესიული რუსეთი უქმნის ევროპასა და მთელ მსოფლიოს. აშკარაა, რომ უკრაინელი ხალხის, აგრეთვე მისი შეიარაღებული ძალების თავდადება და სამხედრო გაწვრთნილობა არ იქნებოდა საკმარისი რუსეთის არმიის შესაჩერებლად. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დემოკრატიული სამყაროს პოლიტიკური და სამხედრო ინსტიტუტების მოქმედება შეიძლებოდა უფრო სწრაფი და ეფექტური ყოფილიყო. ვფიქრობთ დასავლეთის ქვეყნები მირთვული ომის საფრთხესთან ერთად ითვალისწინებენ საბჭოთა კავშირის მოულოდნელი დაშლის უარყოფით ეფექტს მსოფლიო უსაფრთხოების სისტემისთვის. თუმცა ომს თავისი ლოგიკა აქვს, ერთი წლის თავზე დაპირისპირებამ უფრო ხისტი და შეურიგებელი ხასიათი მიიღო, რაც რუსული იმპერიის აღდგენის შესაძლებლობას უფრო ნაკლებ საალბათოს ხდის. ამასთან, ევროპა (და მთელი თავისუფალი სამყარო) საკუთარ უსაფრთხოებასა და თავისუფლებას იცავს. ამიტომ დრამატულ დაპირისპირებას მხოლოდ ორი შედეგი შეიძლება მოჰყვეს: ან ევროპა უფრო ძლიერი და კონსოლიდირებული გამოვა, რასაც მისი პოლიტიკური და სამხედრო გაფართოება მოჰყვება, ან აღდგება რუსეთის იმპერია და ევროპის კონტინენტი კვლავაც მისი მძევალი აღმოჩნდება (ცივი ომის პერიოდის მსგავსად).

ამ ვითარებაში საქართველო ნეიტრალური დამკვირვებლის პოზიციას ვერ დაიკავებს. ჩვენზე უკეთ ცოტა ვინმემ თუ იცის რუსეთის იმპერიის დაუნდობლობა და სივერაგე. ამასთან საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს უფლება ერთი საუკუნის მანძილზე ორჯერ აღმოჩნდეს დამარცხებულთა განაკში (რამაც დიდწილად განსაზღვრა კიდეც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტრაგიკული გედი). აშკარაა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა გულისხმობს თავისუფალ სამყაროსთან მჭიდრო სტრატეგიულ პარტნიორობას. ეს კი ქართული პოლიტიკური კლასის ერთიანობასა და გაგებულებას საჭიროებს. სახელმწიფო ინსტიტუტებისაგან კი მეტ აქტიურობასა და ერთმანეთთან ეფექტურ ურთიერთთანამშრომლობას მოითხოვს.

პაატა კოღუაშვილი,
ნიკა სანეგლიძე,
თენგიზ დიხამინჯია,
საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრები

ირაკლი ღარიბაშვილი: პატივს მივაგებ იუნკერთა ნათელ ხსოვნას!

დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ საქართველოს თავისუფლებისთვის თავდადებულ გმირთა, იუნკერთა ნათელ ხსოვნას. მათ ყველაზე ძვირფასი – საკუთარი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს და უკვდავი მაგალითი დაუტოვეს ყველა მომავალ თაობას. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მათ მიერ დაწყებული ბრძოლა არ დამთავრებულა. ყველა ჩვენგანის მთავარ საზრუნავად და ამოცანად რჩება ქვეყნის გამთლიანება, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, საქართველოს დაბრუნება საერთო ევროპულ ოჯახში. მთელ ჩვენს საზოგადოებასთან ერთად, პატივს მივაგებ იუნკერთა ნათელ ხსოვნას და მშვიდობას, ერთიანობას და განვითარებას ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს!

სამხრეთ კორეა სიფრთხილეს იჩენს

უკრაინის ომმა და ტაივანის პრობლემის გამწვავებამ გამალებული შეიარაღების დრო მოაბრუნა დედამიწაზე. ქვეყნები, რომელმაც, თითქოს, საბოლოოდ აქცია ზურგი მილიტარიზაციას, ისევ შეიარაღებაზე ფიქრობენ. მაგალითად, გერმანიამ და იაპონიამ შორს მოისროლა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პაციფისტური პოლიტიკა და სამხედრო ძალების გამყარებას შეუდგა. რუსეთის მხრიდან ატომური ბომბის გამოყენების მუქარამ ბირთვული იარაღის შეძენაზე არაერთ ქვეყანას დააწყებინა ფიქრი, მათ შორის, სამხრეთ-კორეასაც, რომლის პრეზიდენტმა უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ ამ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენათა გამო, სამხრეთ კორეის უსაფრთხოება დიდი გამოწვევების წინაშე დადგა.

ამიტომ, ვიწყებთ ფიქრს ბირთვული იარაღის შექმნაზე ან შეძენაზეო. იუნ-სოკ-იოლის ეს სიტყვები მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა, რადგან სამხრეთ კორეას, შეიძლება, ბევრმა სხვა ერმაც მიბაძოს, რაც მსოფლიო მასშტაბის გამალებული შეიარაღების ტოლფასი იქნება. მთავარი ისაა, რომ, ამ საკითხში, სამხრეთ კორეის პრეზიდენტს, ქვეყნის მოსახლეობის 70 პროცენტი უჭერს მხარს. სულ რაღაც, ორი წლის წინ კი, სამხრეთ კორეის მოსახლეობის უმრავლესობა, მთელი რეგიონის განიარაღების მომხრე იყო. მსოფლიო მართლაც რომ ახალ ეპოქაში შედის! სამხრეთ კორეის პრეზიდენტის მიერ ამ განცხადებების გაკეთებისთანავე, ქვეყანაში ორი დიდი ვიზიტი გამხორციელდა: ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის, და ამერიკის თავდაცვის მინისტრის, ლოიდ ოსტინის. ამის შემდეგ, ისინი იაპონიაში გაჩერდნენ. ამერიკის თავდაცვის მინისტრი ფილიპინებსაც ეწვია. სტოლტენბერგისა და ოსტინის ვიზიტის მიზანი წყნარი ოკეანის აზიის რეგიონში ანტიჩინური კოალიციის განმტკიცება იყო.

ჯერ კიდევ, შარშან, ნატოს მადრიდის სამიტზე გადაწყდა, რომ ალიანსი რეგიონში გააქტიურდება. შეხვედრაზე, იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ნატოს მთავარი მიზანი ევროპასა და ჩრდილოეთ ატლანტიკაში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაა, მაგრამ დღევანდელმა მდგომარეობამ გადაგვაწყვეტინა, რომ ნატოს ყურადღება აზიის წყნარი ოკეანის რეგიონზე გადავიტანოთო. მან, ასევე, ხაზი გაუსვა, რომ ნატო თავის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად განიხილავს ჩინეთის ნებისმიერ მცდელობას, სამხედრო ძალით შეცვალოს სტატუს-კვო ამ რეგიონში.

სამიტზე, აგრეთვე, გადაწყდა, რომ იაპონია და სამხრეთ კორეა უფრო მეტად დაუახლოვდეს ნატოს. მათ უკვე დაგეგმეს, რომ ალიანსში თავიანთი საელჩოები გახსნან, რასაც ნატოს სტრუქტურებში ამ ქვეყნების თანდათანობითი ჩართვა მოჰყვება, თუმცა, ამ ეტაპზე, მათი ნატოში გაწევრება არ მოხდება. შეხვედრაზე, სამხრეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის შეძენის პერსპექტივაც განიხილეს. აღინიშნა, რომ აქ, სიჩქარე არ ღირს, რადგან სამხრეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის შეძენას, შეიძლება, დომინოს ეფექტი ჰქონდეს, რაც დაუშვებელია.

ამერიკის თავდაცვის მინისტრი არწმუნებდა სამხრეთ კორეის პრეზიდენტს, რომ მისი ქვეყანა ამერიკის ქოლგის ქვეშ უფრო უსაფრთხოდ იქნება. მხარეებმა უკრაინის იარაღით დახმარების საკითხზეც ისაუბრეს. ცნობილია, რომ სამხრეთ კორეა აქტიურად უჭერს მხარს უკრაინას, ეხმარება რა ჰუმანიტარული და ეკონომიკური რესურსებით, თუმცა, სამხედრო ტექნიკის გადაცემისგან მაინც თავს იკავებს. სტოლტენბერგმა სამხრეთ კორეის პრეზიდენტს სთხოვა, უფრო აქტიურად ჩაებას უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაწევის საქმეში.

ჩინეთთან მწვავე კონფრონტაციის დრო არ არის!

ბოლო ორი კვირის განმავლობაში, დროის სხვადასხვა მონაკვეთში, ამერიკის საჰაერო სივრცეში, ოთხი უცნობი მფრინავი ობიექტი, უფრო ზუსტად, საჰაერო ბუშტი, ანუ, აეროსტატი გამოჩნდა. ერთ-ერთი აპარატი ჩინური გამოდგა. დანარჩენის წარმომავლობა კი, დღემდე უცნობია. ამერიკის ავიაციამ ყველა ობიექტი გაანადგურა. სულ ბოლოს აღმოჩენილი ობიექტი რვაკუთხა ფორმისაა, ზედ თოკები იყო ჩამოკიდებული და მიჩიგანის შტატის ტერიტორიაზე, კანადის საზღვართან ახლოს, ჰურონის ტბის თავზე ეკიდა. პრეზიდენტ ბაიდენის განკარგულებით, ობიექტი ამერიკულმა F-22 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავმა ააფეთქა.

საეჭვო ბუშტებმა ამერიკის მოსახლეობაში პანიკა და დიდი დისკუსია გამოიწვია. უცხოპლანეტელების გამოგზავნილი მფრინავი ობიექტებიაო, ასე ამბობდნენ, და კითხულობდნენ, საკმარისად უსაფრთხო თუა ამერიკის საჰაერო სივრცეო. ამერიკის ადმინისტრაციას მოსახლეობისთვის ახსნა-განმარტების მიცემა დასჭირდა. პენტაგონმა განაცხადა, ობიექტები სამხედრო საფრთხეს არ წარმოადგენდნენ, მაგრამ მაინც უქმნიდნენ რისკებს სამოქალაქო ავიაციას და, შესაძლებელია, დაზვერვის ფუნქციებიც ჰქონოდათო. ერთ-ერთი აეროსტატის ჩინური წარმომავლობა ჩინეთის მთავრობამაც აღიარა, თუმცა, მათი მტკიცებით, დანადგარი მეტეოროლოგიური მიზნებით გამოიყენებოდა და მიმართულებას უამინდობის გამო გადაუხვია.

მოგვიანებით, პენტაგონმა აღნიშნა, რომ ჩინეთი უკვე, კარგა ხანია, დაზვერვისთვის აეროსტატებს იყენებს და ეს ინციდენტი პირველი არ იყო. ზუსტად ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი ტრამპის პრეზიდენტობის დროსაც, მაგრამ, მაშინ, ეს ამბავი არ გახმაურებულა. ჩინეთის მთავრობამ კი, პირიქით, ამერიკა დაადანაშაულა, აღნიშნა რა, რომ გასულ წელს, ამერიკის მფრინავმა ბუშტებმა ჩინეთის საჰაერო სივრცე, სულ მცირე, ათჯერ დაარღვიეს. ამერიკა უარყოფს ასეთ ბრალდებას. ამ ინციდენტების გამო, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა, ენტონი ბლინკენმა, ჩინეთში ვიზიტი გადადო, რითაც ჩინეთის ხელმძღვანელობა დიდად უკმაყოფილო დარჩა.

ამერიკაში, პოლიტოლოგებსა და სადაზვერვო ექსპერტებს შორის ცხარე დისკუსია გაიმართა ინციდენტთან დაკავშირებით. გაკვირვებულები კითხულობდნენ, რატომ მაინცდამაინც ახლა მოხდა ეს, და რატომ იყენებს ჩინეთი დაზვერვის ასეთ მოძველებულ მეთოდებს. შეგახსენებთ, რომ აეროსტატებს, სადაზვერვოდ, მეოცე საუკუნის დასაწყისში იყენებდნენ. ახლა კი, ქვეყნები კოსმოსში ისეთ სადაზვერვო თანამგზავრებს უშვებენ, რომ აეროსტატის გაშვება უაზრობად ითვლება, თანაც, თანამგზავრი უკეთესად ხედავს ყველაფერს, ვიდრე აეროსტატი.

სხვათა შორის, არსებულ მონაცემებს თუ დავეყრდნობით, ჩინეთს, 300 თანამგზავრი ჰყავს კოსმოსში, მათ შორის, 100 სამხედრო დანიშნულებისაა. ამერიკელი ექსპერტები მხოლოდ ერთ ვერსიას განიხილავენ, რომ აეროსტატების აღმოჩენა უფრო ძნელია, ვიდრე თანამგზავრებისა კოსმოსში, თან, აეროსტატის გაშვება უფრო იაფი ჯდება.

აქვე, ისმის სხვა, უფრო მნიშნელოვანი კითხვა: რატომ ახლა? ინციდენტები უხერხულ დროს დაემთხვა, რადგან, ჩინეთისა და ამერიკის ურთიერთობა, თითქოს, ოდნავ გამოსწორდა ამ ბოლოხანს. ჩინეთს აწუხებს ეკონომიკური კრიზისი, რომელიც, რუსეთის სანქციების გამო, დამძიმდა. ასევე, ჩინეთის ახლანდელი ლიდერით პოლიტბიუროში ბევრია უკმაყოფილო, რადგან სი-ძინ-პინმა რუსეთის პრეზიდენტს აუბა მხარი. ჩინეთის ხელმძღვანელობა ცდილობს, ბოლომდე არ დაძაბოს ურთიერთობა დასავლეთთან. არც ამერიკის ახლანდელ ადმინისტრაციას არ აძლევს ხელს ჩინეთთან ვითარების გამწვავება. ამერიკელმა ექსპერტებმა გამოთქვეს აზრი, რომ ამერიკის მთავრობას მოუწევს ამ ინციდენტებზე თვალის დახუჭვა, რადგან ახლა არ არის ჩინეთთან მწვავე კონფრონტაციის დრო.

ესპანეთშიც კი სექსუალურ პრობლემებს ეთამაშებიან!..

ესპანეთში არსებობს ეგრეთწოდებული გენდერული თანასწორობის სამინისტრო, რომლის ინიციატივით მიიღეს კანონი სქესობრივ აქტზე თანხმობის აუცილებლობის შესახებ, სახელწოდებით – Only yes means yes – რაც ნიშნავს კი-ს. ანუ, ამ ახალი კანონის მიხედვით, პარტნიორმა ინტიმურ ურთიერთობაზე თანხმობა აშკარად დამადასტურებელი ფორმით უნდა გასცეს, ანუ დუმილი აღარ არის თანხმობის საკმარისი ნიშანი.

მოკლედ, სასამართლომდე თუ მივიდა საქმე, დაზარალებულს, ქალი იქნება ეს თუ კაცი, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, შეუძლია თქვას, მე არ მინდოდაო, და ეს საკმარისი იქნება განაჩენის გამოსატანად. ნაგულისხმევია, რომ კანონს უნდა გაემკაცრებინა სასჯელი სექსუალურ ძალადობაზე, მაგრამ კანონის ინტერპრეტაციამ უკურეაქცია გამოიწვია.

ჩვეულებრივი სექსუალური პარტნიორი ნამდვილ მოძალადეს, შეიძლება, გაუთანასწორდეს. მოძალადეთა ადვოკატებმა კანონში იურიდიულ წიაღსვლას მიაგნეს, რომელიც ნამდვილ დამნაშავეს სასჯელს უმსუბუქებს. კანონის სხვა მუხლმაც გამოიწვია მისი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაცია. მაგალითად, ახალი კანონით, 16-დან 18 წლამდე ადამიანთან სექსი აღარაა დასჯადი. ესპანელმა ადვოკატებმა კანონში პედოფილიის გამამართლებელი აზრიც იპოვეს.

ესპანეთის სააპელაციო სასამართლომ, ამ ახალ კანონზე დაყრდნობით, უკვე, 270 დამნაშავეს შეუმცირა სასჯელი. 20 მძიმე დამნაშავე კი, მთლიანად გაათავისუფლა.

სასჯელი შეუმცირდა აშკარა პედოფილებსაც. კანონის მიღებამ ადვოკატების მიერ ბევრი სხვა სასჯელის გასაჩივრება გამოიწვია. ესპანეთის მთავრობას მოუწია კანონის გაწვევა შესასწორებლად, რამაც მმართველ კოალიციაში უთანხმოება გამოიწვია. მემარცხენე პარტია ზწვუქწთ არ ეთანხმება სოციალ-დემოკრატებს. დავა იქამდე მივიდა, რომ ესპანეთის მასმედია რიგგარეშე არჩევნებზე ალაპარაკდა. ამავდროულად, ესპანეთის პარლამენტი ცხოველთა დაცვის კანონსაც განიხილავს. როგორც ჩანს, კოალიციას ამ საკითხშიც სრულიად მოდერნისტული მიდგომა აქვს. ოპოზიციურმა ულტრა-მემარჯვენე პარტიამ VOX სკეპტიკურად აღნიშნა, ახლა, ისეთ უაზრო კანონს მიიღებენ, რომ სასამართლოს, სექსუალურ ძალადობაზე, სოფლის ქათმების და ვირების დაკითხვა მოუწევსო. ხუმრობა იქით იყოს და, აი, ნათელი მაგალითი იმისა, თუ რა აბსურდამდე, შეიძლება, მიგვიყვანოს ზღვარსგადასულმა ლიბერალიზმა.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

ჯო ბაიდენი: ამერიკა ნატოს ტერიტორიების თითოეულ სანტიმეტრს დაიცავს



„წლეგის წინ, როდესაც ნატოს ვაფართოვებდით, მე ამერიკის სენატში ვიყავი ერთ-ერთი, ვინც ყველაზე მეტად ემხრობოდა ნატოში მევრი თქვენგანის გაწევრიანებას. როგორც ნატოს აღმოსავლეთ ფლანგი, თქვენ ჩვენი კოლექტიური თავდაცვის მოწინავე ხაზზე ხართ და ყველაზე კარგად იცით, რა დევს სასწორზე ამ კონფლიქტში – არა მხოლოდ უკრაინა, არამედ თითქმის მთელი ევროპის თავისუფლება და დემოკრატია. მე არაერთხელ ვთქვი და გავიმეორებ, რომ ამერიკის ვალდებულებები ნატოს მიმართ უცვლელია, ალიანსის მეხუთე მუხლი არის წმინდა ვალდებულება. ჩვენ დავიცავთ ნატოს ტერიტორიების თითოეულ სანტიმეტრს“, – განაცხადა ბაიდენმა. „ბუქარესტის ცხრიანის“ შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ ბულგარეთის, ჩეხეთის, ესტონეთის, უნგრეთის, ლატვიის, ლიეტუვას, პოლონეთის, რუმინეთისა და სლოვაკეთის პირველი პირები.

დიმიტრი მედვედევი: ომის წაგების შემთხვევაში რუსეთის დაშლიან და არსებობას შეწყვეტს

„ყველა გონივრული ძალისთვის აშკარაა, რომ თუ აშშ-ს სურს რუსეთის დამარცხება, მაშინ ჩვენ მსოფლიო კონფლიქტის ზღვარზე ვართ. თუ აშშ-ს სურს რუსეთის დამარცხება, მაშინ ჩვენ გვაქვს უფლება, დავიცვათ თავი ნებისმიერი იარაღით, მათ შორის მირთვული იარაღით. თუ რუსეთი შეაჩერებს სპეციალურ სამხედრო ოპერაციას, ვერ მიაღწევს გამარჯვებას, რუსეთი აღარ იქნება, მას ნაწილებად დაშლიან. თუ აშშ შეწყვეტს იარაღის მიწოდებას კიევის რეჟიმისთვის, ომი დასრულდება“, – წერს „ტელეგრამში“ დიმიტრი მედვედევი.

დონალდ ტრამპი: აშშ-ის ადმინისტრაციის პოლიტიკის გამო სამყარო მესამე მსოფლიო ომის ზღვარზეა

დონალდ ტრამპის თქმით, ათწლეულების განმავლობაში ერთი და იგივე ხალხია, როგორიცაა ვიქტორია ნულანდი და სხვები, რომლებიც შეპყრობილი არიან უკრაინის ნატოსკენ სვლით.

„ერთი წლის წინ უკრაინაში ეს სასტიკი და საშინელი შეჭრა არასდროს მოხდებოდა, მე რომ პრეზიდენტი ვყოფილიყავი. ეს ნიშნავს, რომ აქ, ამერიკაში ჩვენ გვჭირდება კორუმპირებული გლობალისტი ისტებლიშმენტის მოშორება, რომლებმაც ათწლეულების განმავლობაში ცუდად იმოქმედეს ყველა მნიშვნელოვან საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ეს შეეხება პრეზიდენტ ბაიდენსაც, რომელზეც მისი ხალხი ამბობს, რომ არ მიუღია რაიმე კარგი გადაწყვეტილება სხვა ქვეყნებისა და ომების კონტექსტში“, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

პიტერ სიიარტო: კარგი იქნებოდა, ჯო ბაიდენსა და ვლადიმერ პუტინს ესაუბრათ, ეს ომი უნდა დასრულდეს!

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჟურნალისტებმა რუსეთისა და აშშ-ს პრეზიდენტების ბოლო დღეებში გაკეთებული განცხადებების შეფასება სთხოვეს.

„მათ შეეძლოთ, კაცობრიობისთვის მევრად დიდი სამსახური გაეწიათ, თუ ერთმანეთს შეხვდებოდნენ. ეს ომი დაუყოვნებლივ უნდა დასრულდეს. ცეცხლი თუ დაუყოვნებლივ არ შეწყდება და მშვიდობიანი მოლაპარაკებები არ დაიწყება, შესაძლოა, უფრო მასშტაბური პრობლემების წინაშე აღმოვჩნდეთ“, – აღნიშნა პიტერ სიიარტომ.

ჩინეთი და რუსეთი სხვა ქვეყნების მხრიდან ზემოქმედებას არ დაემორჩილება

ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობა სხვა ქვეყნების მხრიდან ზემოქმედებას არ დაემორჩილება, – ამის შესახებ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგარეო ურთიერთობათა კომისიის ხელმძღვანელმა, ვან იმ მოსკოვში ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას განაცხადა. როგორც უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის დაწყების წლისთავამდე ორი დღით ადრე რუსეთში ჩასულმა ვან იმ აღნიშნა, მოსკოვი და პეკინი სტრატეგიული თანამშრომლობის გაძლიერებისთვის მზად არიან. თავის მხრივ, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთსა და ჩინეთს შორის ურთიერთობები კარგად ვითარდება. მისი თქმით, ორ ქვეყანას მიმდინარე წელს ვაჭრობაში ახალ დონეზე ასვლა შეუძლიათ. მან აღნიშნა, რომ მოუთმენლად ელოდება ვან ისთან ამჟამინდელი საერთაშორისო სიტუაციის განხილვას, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა შეაფასა, როგორც „რთული“. ვლადიმერ პუტინის თქმით, ჩინეთთან თანამშრომლობა რუსეთისთვის მნიშვნელოვანია. მან ასევე აღნიშნა, რომ ელოდება რუსეთში ჩინეთის ლიდერ სი ძინპინის ვიზიტს.

ენდეთ, მიიღეთ, წაიკითხეთ



გულბაათ რცხილაძის ნაშრომის – „დიდი სამამულო ომი 1941-1945. ცნობარი“

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში ახალი პოლიტიკური და კულტურული იდენტობის ძიება მწვავე შიდა და გარე პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდება. შეხედულებათა და ინტერესთა კონფლიქტი სამოქალაქო დაპირისპირებამდე გამწვავდა. შეიძლება ითქვას, ეს იყო თვითგანადგურების ტალღა, რომელიც შედეგად მოჰყვა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის პირველ ნაბიჯებს.

და, ჩვენ ვდგებით ტრაგედიის წინაშე, რომელიც სათანადოდ არ შეფასებულა. არ შეფასებულა, როგორც ეროვნულ-პოლიტიკური ტრაგედია, ასევე არც როგორც პიროვნული ტრაგედია. ან, უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა: იმდენად ყოველწუთიერად ფასდება, რომ ნიშნავს – არაფერი ფასდება. შეფასებათა პოლიტიკურ კლიშეებში სიმართლე ლღვება. რჩება მხოლოდ მშრალი ფაქტი, რომელიც თავის თავზე ვეღარაფერს იუწყება. სიმართლეგამოცლილი, იგივე მკვდარი ფაქტი კი, საჭიროებს „გაცოცხლებას“. დრო და სივრცე მევრ რამეს ინახავს. მეხსიერება, რომელსაც ყველაზე კარგი გემოვნება აქვს (თუ გემოვნება, რომელსაც ასევე საუკეთესო მეხსიერება გააჩნია), ფანტავს განურჩევლობის მტვერს, რომელიც დროსა და სივრცეში გაშლილ სინამდვილეს ნელ-ნელა ედება ხოლმე.

სწორედ ამ კონტექსტში, პროფესორ გულბაათ რცხილაძის ნაშრომი „დიდი სამამულო ომი“, გვევლინება ისტორიულ მეხსიერებასთან კოლაბორაციაში. დიდი სამამულო ომისა და მთელი მისი ისტორიულ-შემეცნებითი პერიპეტიების აღწერა-გადმოცემა თანამედროვე სოციალური და, გნებავთ, პოლიტიკური ანტურაჟის გათვალისწინებით, წარმოადგენს მეცნიერული გმირობის ტოლფასს მოქმედებას.

ახალმა დრომ მოიტანა ახალი ღირებულებები, შეცვალა შეფასებათა სისტემები, მოახდინა აზროვნების ტრანსფორმაცია. ახალგაზრდობაში ჰეროიზმისა და პატრიოტიზმის ცნებების ნიველირება მოხდა. დიდ სამამულო ომში გამარჯვება საბჭოთა კავშირის ანუ მასში შემავალი ყველა ეროვნების, მათ შორის, რა თქმა უნდა, ისტორიულ-ეპოქალური მოვლენაა. კაცობრიობის არსებობის ისტორიაში ყველაზე უფრო ტრაგიკული ომის შეფასებები, სამწუხაროდ, ბოლო წლების განმავლობაში, იდეოლოგიური კლიშეებისა და საზოგადოებრივი ფორმაციების შეცვლის ფონზე არაობიექტური, მიკერძოებული და ფრივოლური გახდა. და, სწორედ ამ ფონზე, პროფესორ გულბაათ რცხილაძის წიგნი „დიდი სამამულო ომი“, უკვე შეიძლება ითქვას, რომ გახდა მემატიანე – სტერილური პრინციპულობით და პირუთვნელი სიმართლით გაჯერებული.

ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას ისიც, რომ მისი, როგორც მკვლევარის, კეთილსინდისიერება, პატიოსნება, ობიექტურობა, ისტორიული მეხსიერების რეანიმაცია, უნისონშია მისი აზროვნების ლოგიკასთან და მეცნიერულ ტემპერამენტთან.

ამ წიგნში უამრავი მასალაა თავმოყრილი. გამოყენებულ წყაროებსა და გიგლიოგრაფიაზე ზერელე თვალის გადავლებაც კი დაგვარწმუნებს, რამხელა შრომა გაუწევია გულგაათ რცხილაძეს, როგორც მკვლევარს. აქ ეს ორი კომპონენტი: ა) სამეცნიერო კვლევის მრავალფეროვნება და სიღრმე და ბ) ამ კვლევის შესაბამისი ენით გადმოცემა – დიდი გემოვნებით, ენის ვლასტეების სრული ფლობით, ორივე ეხამება ერთურთს. ესაა საფუძველი იმისა, რომ წიგნი, რომელიც უამრავ ღირებულ ინფორმაციას შეიცავს, ინფორმაციების სიუხვის გამო კი არ მძიმდება და იტვირთება, არამედ საინტერესო საკითხავი ხდება ყველა დონისა და განწყობის მკითხველისთვის. ეს არის, ერთი მხრივ, სერიოზული სამეცნიერო კვლევა მთელი თავისი მეცნიერული აპარატით და, მეორე მხრივ, წარმოგვიდგება დოკუმენტური პროზის ნიმუშად.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაშრომი კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე საშინელ მოვლენას ეძღვნება, გამოყენებული წყაროებისა და ავტორის გამორჩეული სტილის წყალობით, ისე კარგად იკითხება და ისე იტაცებს მკითხველს, რომ ადამიანს ერთი სული აქვს, ბოლომდე ჩავიდეს. თითქოს, რაღა უნდა გავიგოთ ახალი ამ ომზე, რომელზეც ტონობით ლიტერატურა შექმნილა და ათასობით ფილმი გადაღებულა, მაგრამ ავტორის ორიგინალური და, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ხედვის გამო, ეს წიგნი მაინც უნიკალური მოვლენაა.

დამოლოს, ჩვენს მკითხველს მინდა, მივმართო: იმისათვის, რომ იკითხო წიგნი და ისიამოვნო (რაც ნიშნავს – შეიცნო), საჭიროა, ასე ვთქვათ, სამკითხველო ნდობა. არა ბრმა, ფეხისა და მოდის ხმას აყოლილი, არამედ, ალბათ, ირაციონალური. ნდობა არის ის, რაც ღირებული სამეცნიერო კვლევის, ღირებული ნაშრომის მიღების გარანტი შეიძლება, იყოს. წიგნს, ისევე როგორც ადამიანს, მხოლოდ ნდობაში შეუძლია, აჩვენოს საკუთარი თავი და შესაძლებლობები. ამიტომ, მე შემიძლია, გირჩიოთ ნდობა. გულგაათ რცხილაძის წიგნს აქვს მკითხველის მიზიდულობის მეტაფიზიკა. მკითხველი ისაა, ვინც კი არ ეძებს წიგნს, არამედ, ვისთანაც წიგნები მიდიან. მისვლასაც ზუსტი დრო აქვს.

ენდეთ, მიიღეთ, წაიკითხეთ. არ ინანებთ!

მამუკა კარტოზია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

P. S. წიგნის შეძენა შეიძლება თბილისში, რუსთაველის გამზირი 18, წიგნების მაღაზია „აქტი“; ასევე ინტერნეტში: AKTI.GE

ვიქტორ რცხილაძის ახალი თარგმანი

გამოვიდა XX საუკუნის დიდი ფილოსოფოსის ალექსეი ლოსევის „მხატვრული ფორმის დიალექტიკა“.

წიგნი თარგმნა და შესავალი დაურთო ცნობილმა მთარგმნელმა და ფილოსოფოსმა ვიქტორ რცხილაძემ. წიგნი იყიდება თბილისის მაღაზიებში – „ლატერნა“ („ქარვასლაში“); „პარნასი“ (ჭავჭავაძის გამზ. 22), „სანტა-ესპერანსა“ (სანკტ-პეტერბურგის ქ. 12), „ბუქმარკი“ (არაყიშვილის ქ. 5).

◎ ბაკურიანი – 2023

იტალიაც გავახარეთ

ბაკურიანში გრძელდება მსოფლიო ჩემპიონატი. ამჯერად სნოუბორდში შერეული გუნდური პარალელური სლალომი გაიმართა, რომლის გამარჯვებულიც იტალიის ნაკრები გახდა.

ბევრჯერ შეცვლილი ამინდის მიუხედავად დიდველის ტრასაზე ფინალებმა კარგად ჩაიარა.აარონ მარჩისა და ნადია ოშნერის წყვილმა ფინალში ავსტრიელებს, ანდრეას პრომეგერსა და ზაზინა შოფმანს სძლია, რომელთაც უკვე მოახერხეს ინდივიდუალურ ასპარეზობებში მედლების მოპოვება.

„ოქროს მედალი მოვიპოვეთ და ამით კმაყოფილები ვართ. უბრალოდ გასაოცარია. კარგად ვიმუშავეთ. გვინდოდა, რომ უფრო სწრაფები ვყოფილიყავით. გუშინდელი დღიდან მოყოლებული კარგი შეგრძნება გვქონდა დღევანდელ შეჯიბრთან დაკავშირებით. ნადიას მეორე ცდაზე უფრო მეტი ზეწოლა ჰქონდა, თუმცა მან საქმეს შესანიშნავად გაართვა თავი“, – განაცხადეს გამარჯვებულმა იტალიელებმა.

ბრინჯაოს მედლის მფლობელები შვეიცარიელები, დარიო კავიეძელი და ჟული ცოგი გახდნენ, რომელთაც მესამე ადგილისთვის გამართულ დაპირისპირებაში კიდევ ერთი იტალიური წყვილი, მაურიციო ბორმოლინი და ლუსია დალმასო დაამარცხეს.

ბაკურიანს საერთაშორისო დამთვალიერებლებიც სტუმრობდნენ. „დოპელმაიერის“ ორგანიზებითა და მთის ტრასების საagენტოს ჩართულობით, 7 ქვეყნის სათხილამურო კურორტის ორმოცამდე წარმომადგენელი გვესტუმრა. მათ ის გამოცდილება გავუზიარეთ, რომელიც საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში სამთო-სათხილამურო კურორტებზე, ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით დააგროვა.

„ძალიან ვამაყობთ, რომ დღეს აქ, ბაკურიანში ვიმყოფებით და საქართველოს ამ დიდი მიღწევის თანამონაწილეები ვართ. საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება ტარდება აქ და მინდა ეს საქართველოს მივულოცო“, – თქვა კომპანია „დოპელმაიერის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ტომას ფიხლერმა.

„აქ უკვე მეორედ ვარ და გაოცებული ვარ იმით, თუ როგორ არის მომზადებული ბაკურიანი მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ჩვენ აქ ჩვენი გუნდისა და ჩვენი მეგობრების, ქართველების მხარდასაჭერად ვართ. პირველად აქ 2021-ში ჩამოვედით და არაფერი იყო, ამჯერად კი კარგად ვხედავთ ყველაფერი როგორი ორგანიზებული და კეთილმოწყობილია. იმედი მაქვს ყველა ქვეყანა ისიამოვნებს ამ მსოფლიო ჩემპიონატით“, – აღნიშნა კურორტ „ჩიმბულაკის“ დირექტორმა რინატ აბრახმანოვმა.

კოხტას ტრასაზე ფინალური შეჯიბრებები ეარეალსის დისციპლინაშიც უნდა ჩატარებულიყო, თუმცა უამინდობის გამო ის გადაიდო. პარალელურად, ოფიციალური ვარჯიში ჰქონდათ სკი კროსის სახეობაში, მათ შორის: დავით თედიაშვილს, ლაშა კურტანიძეს და ბექა ბერძენიშვილს. ხოლო სლოუფსთაილის ფრისკიში ლუკა ჩოფიკაშვილმა და ბუთა ელოშვილმა ივარჯიშეს.

მსოფლიო ჩემპიონატი ეარეალსის ფინალით გაგრძელდება და ტრასაზე ქართველ სპორტსმენებსაც ვიხილავთ.

შეგახსენებთ, რომ ამ მომენტისთვის ბაკურიანში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ავსტრია ლიდერობს, რომელსაც 1 ოქროს, 3 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი აქვს. მეორე ადგილზე შვეიცარიაა, მესამე ადგილს კი პოლონეთი იკავებს.

◎ ჩემპიონთა ლიგა

„ქუსლ-ბურთი“ გერმანიაში

იმას, რაც მარადონას ეპოქაში ნაპოლისთვის აუხდენელ ოცნებად იქცა, დიდი ალბათობით, ხვიჩა კვარაცხელია და კამპანია განახორციელებს.

დიახ, სტუმრად კომფორტული სხვაობით მოპოვებული გამარჯვება ლუჩანო სპალეტის გუნდს საპასუხო რაუნდის წინ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში პირველად გასვლის რეალურ შანსს აძლევს და სასიამოვნოა, რომ ღირსეული მეტოქის ძლევაში ასეთივე წვლილი ქართველმა ლეგიონერმა შეიტანა. მართლაც, მისი ქუსლური, ევროპა ლიგის მოქმედი ტრიუმფატორის – აინტრახტის კარში დი ლორენცოს მეორე გოლი რომ მოჰყვა, ფეხბურთის ნებისმიერი ქომაგის გემოვნებას დააკმაყოფილებდა.

რაც შეეხება გერმანელთა მეკარე ტრაპის მიერ მოგერიებულ ჩვენებურის პენალტს, საგანგაშო არაფერია, რადგან ასეთი რამ ყველას მოსდის და ის უფრო აღსანიშნავია, რომ კვარამ სახადი მოგებულ შეხვედრაში მოიხადა და დამატებითი ფსიქოლოგიური წნეხისგან დროულად განთავისუფლდა. გასათვალისწინებელია აგრეთვე ერთი ფაქტორი – მასპინძელთა ვეტერანმა კაპიტანმა კარიერაში უკვე 22-ე დუელი მოიგო, ანუ იმდენი, რამდენიც ახლახან ხვიჩას შეუსრულდა.

დავძენთ, რომ მორიგი გოლი გაიტანა ოსიმენმა, რომელმაც შესანიშნავად მოთამაშე ლოზანოს დაუფასა გარჯა – 2:0, ფრანკფურტელთა ფრანგი ლიდერი კოლო მუანი კი მინდვრიდან გააძევეს. იმავე საღამოს ჩვეულად გაიბრწყინა მადრიდის რეალმა, რომელმაც ენფილდზე 0:2 შეუტრიალა ლივერპულს – 5:2(!). **გოლები:** ნუნიესი, სალაჰი; ვინისიუს ჟუნიორი, ბენზემა – 2-2, მილიტაო. **ინტერი – პორტუ 1:0, ლაიფციგი – სიტი 1:1.**

◎ ოვალური ბურთი

საგაზაფხულო გამოცდაზე

რაგბი ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, პირველი პროფესიული ქართული ფრენჩაიზი „შავი ლომი“ შეიკრიბა და სამხრეთამერიკული ტურნესთვის მზადებას შეუდგა.

რადგან „შავი ლომი“ ბორჯღალოსანთა ბირთვს წარმოადგენს, სამხრეთამერიკული ტურნე 2023 წლის მსოფლიო თასისთვის მზადების ნაწილია. ჩვენი გუნდი აპრილსა და მაისის დასაწყისში ამერიკის სუპერლიგის მონაწილეებთან კონკურსგარეშე ხუთ შეხვედრას გამართავს, ანუ არ ჩაერთვება ტურნირში და არ იბრძოლებს თასის მოსაპოვებლად.

სამხრეთ ამერიკის სუპერლიგა 2019 წელს დაარსდა, თუმცა პირველი ტურნირის ჩატარება მხოლოდ 2021 წელს გახდა შესაძლებელი და მასში არგენტინის, ურუგვაის, ბრაზილიის, ჩილეს, კოლუმბიისა და პარაგვაის პროფესიული ფრენჩაიზები მონაწილეობდნენ. პირველი გათამაშების გამარჯვებული არგენტინული „ხაგუარეს XV“ გახდა, ხოლო 2022 წლის ტურნირი ურუგვაის „პენიაროლმა“ მოიგო.

მას შემდეგ ტურნირის ორგანიზატორებმა ფორმატის გაფართოებაზე დაიწყეს ფიქრი და წელს მონაწილეთა რაოდენობა 8-მდე გაიზარდა. მათ შორის აღარ არიან კოლუმბიელები. სამაგიეროდ გამოჩნდა შეერთებული შტატების გუნდი „რეპტორსი“, არგენტინელებმა კი მეორე ქვოტაც მიიღეს და წელს ამერიკის სუპერლიგაში ორი ფრენჩაიზი ეყოლებათ. სამომავლოდ ტურნირში კანადის და სხვა ქვეყნების ფრენჩაიზების ჩართვაც იგეგმება.

თვენახევრის განმავლობაში „შავი ლომი“ ურუგვაიში, მონტევიდეოში შეიკრიბება და ხუთიდან ოთხ თამაშს „შარუაზე“ გამართავს, რომელიც 1984 წელს აშენდა, რეკონსტრუქცია 2018 წელს ჩაუტარდა და 11 226 მაყურებელს იტევს. იქნება ერთობლივი ვარჯიშები ადგილობრივ ფრენჩაიზთან, რომლის შემადგენლობის 90% ურუგვაის ნაკრებს წარმოადგენს.

ტურნეს ფარგლებში „შავი ლომი“ პირველ შეხვედრას 9 აპრილს, არგენტინული „დოგოს XV“-ის წინააღმდეგ გამართავს. ის არგენტინის რაგბის კავშირის მეორე პროფესიული ფრენჩაიზია, რომელიც კორდობაშია გაზირებული. ის 2019 წელს, სწორედ ამერიკის სუპერლიგაში მონაწილეობისთვის შეიქმნა, მაგრამ 2021 წელს, როდესაც არგენტინის რაგბის კავშირმა ამ ტურნირში „ხაგუარეს XV“-ით გამოსვლის გადაწყვეტილება მიიღო, „დოგოსი“ დაიშალა.

წელს „დოგოს XV“ აღდგა და სუპერლიგაშიც ჩაერთვება, მანამდე კი ბრაზილიისა და პარაგვაის გუნდებთან ამხანაგური შეხვედრები გამართა.

14 აპრილს ჩილეს „სელკნემს“ ვერკინებით, რომელიც ასევე 2019 წელს დაარსდა და ჩილეს ნაკრების საგაზისო გუნდია. „სელკნემმა“ 2021 წლის სამხრეთ ამერიკის სუპერლიგაში ჯგუფური ეტაპი მესამე ადგილზე დასრულა და ნახევარფინალში ურუგვაის „პენიაროლთან“ 14:17 დამარცხდა. 2022 წელს ჩილეს გუნდმა ნახევარფინალში „ხაგუარეს XV“ 16:10 დაამარცხა, თუმცა ფინალში „პენიაროლთან“ კვლავ ვერაფერს გახდა – 13:24.

21 აპრილს „შავი ლომი“ არგენტინულ „პამპასს“ არგენტინაში, ბუენოს აირესში „კასა პუმასზე“ ეწვევა. არგენტინული ფრენჩაიზი 2010 წელს დაარსდა და 2013 წლამდე სამხრეთ აფრიკის „ვოდაკომის თასში“ მონაწილეობდა, 2011 წელს კი ტურნირის გამარჯვებული გახდა. 2014-2015 წლებში გუნდმა წყნარი ოკეანის თასზე ითამაშა, სადაც ფიჯის, სამოას და ტონგას მეორე გუნდებთან ერთად, იაპონიისა და ავსტრალიის ახალგაზრდული გუნდებიც იყვნენ ჩართული. „პამპასმა“ თასი ზედიზედ ორჯერ მოიგო, რის შემდეგაც დაიშალა და მისი აღდგენის გადაწყვეტილება 2022 წელს მიიღეს.

ამერიკის სუპერლიგაში, ის „დოგოსთან“ ერთად არგენტინის ღირსებას დაიცავს.

ამის შემდეგ ჩვენი გუნდი მონტევიდეოში დაბრუნდება და 28 აპრილს Sudamerica Rugby XV-ს შეხვდება, გუნდი ბოლოს 2019 წელს შეიკრიბა და ურუგვაის ნაკრებს იაპონიის მსოფლიო თასზე გამგზავრებამდე ეთამაშა.

ტურნეს კი 6 მაისს სუპერლიგის მოქმედ ჩემპიონ, მასპინძელ „პენიაროლთან“ ჯახით დავასრულებთ. ურუგვაელებმა ფრენჩაიზი 2019 წელს სწორედ სუპერლიგაში მონაწილეობისთვის დააარსეს და ის ფაქტობრივად ურუგვაის ნაკრებია. გუნდმა სუპერლიგის პირველ გათამაშებაში ფინალი „ხაგუარესთან“ 28:36 დათმო, 2022 წელს კი გადამწყვეტ მატჩში „სელკნემს“ 24:13 სძლია და თასი შემართა.

„მსოფლიო თასისთვის მზადების კუთხით სამხრეთამერიკული ტურნე უმნიშვნელოვანესია. რაგბი ევროპის ჩემპიონატის დასრულებიდან მსოფლიო თასის მოსამზადებელი ეტაპის დაწყებამდე, დიდი წყვეტა გვქონდა, ამის ნაცვლად კი „შავ ლომს“, რომლის შემადგენლობის 50-60% ნაკრების კანდიდატები არიან, ხუთი მაღალი დონის თამაში ექნება. წინ საინტერესო შეხვედრები გველოდება, რომელიც როგორც სელექციის, ასევე მზადების კუთხით დაგვეხმარება და მოუთმენლად ველით ტურნეს დაწყებას“ – ამბობს ბორჯღალოსანთა და „შავი ლომის“ მთავარი მწვრთნელი **ლევან მაისაშვილი.**

◎ კორტზე

პრინციპის ერთგული

ნოვაკ ჯოკოვიჩი იმედოვნებს, რომ მასტერსის ამერიკულ ტურნირებზე თამაშის უფლებას მიიღებს. მან შეერთებულ შტატებში შესვლის უფლების მისაღებად, სპეციალური განაცხადი შეავსო და პასუხს მოკლე დროში ელის. დადებითი პასუხის შემთხვევაში, მას ინდიან უელსზე და მაიამის ტურნირზე გამოსვლის საშუალება მიეცემა.

ჯოკოვიჩი, ვინც ახლახანს ავსტრალიის ღია პირველობა მეათედ მოიგო, რითაც თავისივე რეკორდი გაუმჯობესა, ტურს მომდევნო კვირაში, დუბაის ტურნირზე დაუბრუნდება.

„დუბაის შემდეგ, ჩემი გეგმები აშშ-ის ხელისუფლების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. მე პასუხის მოლოდინში ვარ. ჩემზე არაფერია დამოკიდებული. ყველაფერს მალე გავიგებ. მადლობას ვუხდი ინდიან უელსის და მაიამის ტურნირების ორგანიზატორებს, რომლებიც გვერდში მიდგანან“, – ამბობს ჯოკოვიჩი.

ამერიკაში უცხოელებს კოვიდ-19-ზე აცრის გარეშე არ უშვებენ. ამ შეზღუდვის მოხსნა იგეგმება, მაგრამ ეს ინდიან უელსის და მაიამის ტურნირების დაწყებამდე არ მოხდება. სწორედ ამიტომ, ჯოკოვიჩს ქვეყანაში შესასვლელად, სპეციალური ნებართვა სჭირდება.

აღნიშნული შეზღუდვის გამო, გასულ სეზონში ჯოკოვიჩმა ინდიან უელსზე, მაიამის ტურნირსა და აშშ-ის ღია პირველობაზე თამაში ვერ შეძლო. შეზღუდვების მოხსნა 11 მაისს იგეგმება.

◎ ომის წლისთავზე

გრძნობათა იმპერია

ლონდონის „ჩელსიში“ ახლადგადასულმა უკრაინელმა ფეხბურთელმა, მიხაილო მუდრიკმა რუსეთის არმიის უკრაინაში შეჭრის ამბავი როგორც ჩანს თავისებურად გაიგო და პუტინის „ბომბუთა“ საოკუპაციო ლაშქრის ქმედებას საპასუხოდ სულ

სხვანაირი, თუმცა ყველასთვის გასაგები და რუსთათვის ესოდენ ნაცნობი „ოკუპაციით“ უპასუხა.

როგორც გამოცემა „ტრიბუნა“ წერს, მიხაილო საიდუმლოდ ხვდება ჯგუფ „სერებროს“ ყოფილ წევრს, კატია კიშუკს და ისეთ დღეში აგდებს, რუსული სამხედრო გემის კაპიტანსაც კი რომ არ დასიზმრებია. ამ ამბავს ჯერჯერობით კატიაც და ფეხბურთელიც უარყოფენ, მაგრამ „ცრემლის უარმყოფელი მოსკოვისა“ არ იყოს, ბრიტანელ ჟურნალისტებს არც ასეთი თავის მართლებისა სჯერათ.

„ყვითელი მოკალმეები“ აქვე იმასაც იხსენებენ, რომ მიხაილო მუდრიკის საგულშემატკივროდ „სტემფორდ ბრიჯის“ ტრიბუნაზე წამოსკუპებულ რუს კატიას ხელში უკრაინის დროშა ეჭირა, რაც ამ გოგოს მხრიდან პუტინის მიერ წამოწყებული ომისადმი უარყოფით განწყობასაც ასახავს. ასეთი დამოკიდებულება რუსისგან სასიამოვნოდ საკვირველია.



ზუგდიდელი და მშობლიური რუხის უახლოესი მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული კაცი, ღვაწლმოსილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, ადრე აფხაზეთში და შემდგომ ზუგდიდის დევნილთა პოლიკლინიკაში ხელმძღვანელ თანამდებებზე მოღვაწე, უღალატო მეგობარი

თამაზ ჯანაშია

ბატონი თამაზი იყო სიკეთისა და პატიოსნების, კოლხური სისადავისა და სამართლიანობის განსახიერება, გამორჩეული პიროვნება. ასეთად დარჩება იგი ჩვენს მეხსიერებაში.

დიდ მწუხარებაში თანავუგრძნობთ ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს, რუხსა და აფხაზეთს.

ვახტანგ ყოლბაია, გურამ გუნავა, ბონდო ჯიქია, ოთარ ჭითანავა, იგორ ქოგალია, ლერი ჭითანავა, ვაჟა თორდია, ნათელა ფიფია, კარლო ღურწკაია, ჯონი ჯანაშია, ჯემალ კვირტია, ნუგზარ სულავა, იური გუგუჩია, მურმან ნაჭყებია, თამაზ ცანავა, გივი სოსელია, კარლო ვეკუა, ვახტანგ კუკავა, ნუგზარ სართანია, ბესო თოდუა, ლევან ფარცვანია, გოგი თოდუა, ვაჟა ფიფია, ივერი ჯანაშია, ნათია ჯგუშია, კლიმენტი კიკალიშვილი, დათო თოდუა, მერი ჭანტურია, თორნიკე ჭაჭუა, შინო ფარცვანია.

ივიკო საყვარელიძის არდავიწყება

ივიკო საყვარელიძეს უბრალოებით, მოყვასისადმი სითბოთი და სიყვარულით სავსე კაცს, ჩვენი ქალაქის კოლორიტს 26 თებერვალს 83 წელი შეუსრულდებოდა.

ჩვენ მის მეგობრებს კარგად გვახსოვს იგი, თუ როგორ ხიბლავდა მის გარშემო მყოფთ გულწრფელობითა და ინტელექტით, თავისი თბილი და ტკბილი ხმით. ტრიო, რომლის წევრებიც ივიკოსთან ერთად აწ გარდაცვლილი ჯემალ სუხიშვილი (ღმერთო, ნათელში ამყოფე მისი სული) და ბატონი მერაბ მახარაძე იყვნენ, მისი თაობის თბილისელებს და სრულიად საქართველოს ხიბლავდნენ თავიანთი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით.

თუ ვინმეზე ითქმის სამშობლო, მშობლიური ქალაქი და ოჯახი ასახელაო, მათ შორის ჩვენი უძვირფასესი ივიკოც მოიაზრება.

ჩვენო ძვირფასო მეგობარო! — თავს ზევით ძალა არ არის, ვეგუებით უშენობას. დაე, მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

უახლოესი მეგობრები.

ქართველი თაღლითი პოლონეთში დააკავეს!

პოლონელმა სამართალდამცველებმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს, რომლებიც ხანდაზმულებს თანხას მოტყუებით სძალავდნენ.

4 დაკავებულიდან ერთ-ერთი საქართველოს მოქალაქეა.

44 წლის ქართველი თაღლითობის ორ ეპიზოდშია ბრალდებული, როდესაც დანაშაულებრივი ჯგუფი მოხუცებს ქალაქ ტანროვში 25 000 პოლონურ ზლოტს (14 700 ლარი) და ქალაქ ვაგროვიეცში 220 000 პოლონურ ზლოტს (130 000 ლარი) სძალავდა. ოთხივე დაკავებულს ბრალი თაღლითობის მუხლით წაუყენეს. მათ 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. პოლიცია სხვა ეჭვმიტანილებს იდენტიფიცირებასა და შემდგომ დაკავებას არ გამორიცხავს.

ყალბის-მქნელები არ ხუმრობენ!..

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

ბრალდებულები, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, დაინტერესებულ პირებზე სისტემატურად ამზადებდნენ და ასაღებდნენ პირადობის დამადასტურებელ ყალბ ოფიციალურ დოკუმენტებს.

„ბრალდებულები დაკავებულ იქნენ ერთ-ერთ პირზე საქართველოს მოქალაქის ყალბი მართვის მოწმობისა და უცხო ქვეყნის მოქალაქის ყალბი პირადობის მოწმობის 1 250 ევროს სანაცვლოდ გასაღების ფაქტზე. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დამატებით ამოღებულ იქნა უცხო ქვეყნის მოქალაქეების პირადობის მოწმობები“.

დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ექვს წლამდე.

ხუთივე ქურდი დამნაშავეა!

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობაში, „კანონიერ ქურდობაში“, „ქურდული სამყაროს“ წევრობასა და „ქურდული სამყაროს“ მხარდაჭერაში ბრალდებული ხუთი პირი დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2021 წელს ე.წ. „კანონიერმა ქურდმა“ და „ქურდული სამყაროს“ სამმა წევრმა, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდამჭერი პირის მეშვეობით, ორ დაზარალებულს არაერთხელ მოუწყვეს „ქურდული გარჩევა“, კერძოდ, სთხოვდნენ ფულადი თანხის უმოკლეს ვადაში გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ძალადობით ემუქრებოდნენ. ამავდროულად, „ქურდული გარჩევისას“, „კანონიერმა ქურდმა“ და „ქურდული სამყაროს“ წევრმა ერთ-ერთ დაზარალებულს მისი დასჯის მიზნით, თვითდაზიანების მიყენება აიძულეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ყველა ბრალდებული დამნაშავედ ცნო და ე.წ. „კანონიერ ქურდს“ სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით, ხოლო „ქურდული სამყაროს“ სამ წევრს – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

განცხადება

სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

1.	მანქანათმშენებლობის განყოფილების უფრ. მეცნიერი თანამშრომელი – ერთი არასრული საშტატო ერთეული;

კონკურსის პირობები:

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის ხელმძღვანელობა ან მის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

ა)	განცხადება;
ბ)	პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
გ)	ავტობიოგრაფია (CV);
დ)	დოქტორის, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
ე)	გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ვ)	ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;
ზ)	სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
თ)	სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;
ი)	პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი;
კ)	შესაბამისი დარგის სამი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).
	საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ელიზბარ მინდელის ქ.#10.
	საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2023 წლის 25 მარტამდე
	დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – სვეტლანა ჩაგელიშვილს ტ.: 593 234 025, 2 329017

ცნობილი რესტავრატორის საიუბილეო ზეიმი სამხატვრო აკადემიაში

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებლის, არქიტექტორ-რესტავრატორის, აკადემიკოს ვახტანგ ცინცაძის რუსულიდან ქართულად თარგმნილი წიგნის – „თბილისის“ წარდგინება და ვახტანგ ცინცაძის მოწაფის, არქიტექტორ-რესტავრატორ ტარიელ კიპაროიძის, 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

ტარიელ კიპაროიძის „ნარიყალას ანსამბლის რესტავრაციის პროექტის“ გამოფენა გაიმართა, სადაც წარადგინეს რესტავრაციის ანგარიში.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო რესტავრატორის ზოგიერთი სკულპტურული ნამუშევრის რეპროდუქციაც.

აღსანიშნავია, რომ აკადემიკოს ვახტანგ ცინცაძის მიერ 1958 წელს რუსულ ენაზე შექმნილი წიგნი „თბილისი“ ქართულად პირველად 2022 წელს კულტურის სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით გამოიცა. თბილისის ძველი ხუროთმოძღვრებისა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის საცხოვრებელი სახლებისადმი მიძღვნილი ეს ნაშრომი ვახტანგ ცინცაძის მეცნიერულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებით გამოირჩევა. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „სეზან ფაბლიშინგმა“, თარგმნა ნინო ხუციშვილმა, რედაქტორია ცისანა თოდუა-კარტოზია, სამეცნიერო რედაქტორი – ტარიელ კიპაროიძე, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის რესტავრაციის განყოფილებას და სასწავლო პროცესს.

რესტავრატორი ტარიელ კიპაროიძე 1997 წელს დასახელდა წლის საუკეთესო არქიტექტურული ნაშრომის ავტორად („წმ.ნიკოლოზის ტაძრის განახლება თბილისის ციტადელში“). გარდა პედაგოგიური და სარესტავრაციო საქმიანობისა, მან შექმნა გრანიტისა და მარმარილოს სკულპტურული ნამუშევრები. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოჰაიოს შტატის ქალაქ ცინცინათში, მხატვართა გამოფენაზე ქანდაკების ნომინაციაში იგი დაჯილდოვდა პირველი პრემიით.

ტარიელ კიპაროიძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. დაბადების 75-ე წლისთავზე მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორ-რესტავრატორის წოდება.

თანამედროვე ხელოვნების ახალი უნიკალური ცენტრი

წმ. მიხეილის საავადმყოფოს ყოფილ ტერიტორიაზე თანამედროვე ხელოვნების ახალი ცენტრის სამშენებლო პროექტის შესარჩევი საერთაშორისო კონკურსი დასრულდა. 2023 წლის მოლოს ახალი მუზეუმის პროექტს მსოფლიოში ცნობილი ფრანგული კომპანია შეიმუშავებს. ეს ის კომპანიაა, რომელსაც ლუვრის, ორსეს და სხვა მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვანი ობიექტების რეკონსტრუქცია ეკუთვნის. თანამედროვე ხელოვნების ახალი ცენტრის პროექტის იდეის ავტორი და ინვესტორი გახლავთ მეცენატი, კოლექციონერი, ბიზნესმენი შალვა ბრეესი.

გალაქტიკის სურათი იცვლება

ტელესკოპმა „ჯეიმს უები“ 6 ახალი გალაქტიკა აღმოაჩინა, რომლებიც ფიზიკისა და კოსმოსის კანონების მიხედვით არ უნდა არსებობდნენ.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეს გალაქტიკები დიდი აფეთქებიდან 500-700 მილიონი წლის შემდეგ წარმოიქმნა. უზარმაზარ გალაქტიკებში ძალიან ძველი ვარსკვლავებია. ეს აღმოჩენა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კოსმოსის შესახებ აქამდე არსებულ ცნობებს. კერძოდ, დიდი აფეთქებიდან ასეთ ხანმოკლე პერიოდში ასეთი დიდი ზომის გალაქტიკები უბრალოდ არ უნდა არსებობდეს. ასტრონომები ობიექტებზე დაკვირვებას აგრძელებენ, რათა მათი ანომალიური მასის ალტერნატიული ახსნები გამორიცხონ. ერთ-ერთი ასეთი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს რომ ეს გალაქტიკები სინამდვილეში სუპერმასიური შავი ხვრელების აქამდე უცნობ კლასს წარმოადგენენ. თუმცა თუ ეს ვერსიებიც გამორიცხა, „უების“ აღმოჩენა თავდაყირა დააყენებს მეცნიერების წარმოდგენას სამყაროს ევოლუციის შესახებ და მათ ახალ კოსმოლოგიური თეორიის შექმნა მოუწევთ.

მონიკა ბელუჩი - VOGUE-ის გარეკანზე

58 წლის მონიკა ბელუჩი ბერძნული Vogue-ის მარტის ნომრის გარეკანზე მოხვდა. ფოტოები ჟურნალის Instagram-ზე გამოქვეყნდა.

ფოტოსესიის ავტორი ცნობილი გერმანელი ფოტოგრაფი ელენ ფონ უნვერტია. ჟურნალის მარტის ნომერი შავ-თეთრ ფოტოგრაფიას ეძღვნება. მონიკა ბელუჩიმ, რომელმაც ფრანგი რეჟისორის, ტომ ვოლფის მონოსპექტაკლში ბერძენი საოპერო მომღერლის, მარია კალასის როლი შეასრულა, საბერძნეთთან საკუთარ კავშირებზე ისაუბრა.

მოდის კვირეული... პრეზერვატივების ფონზე

მილანის მოდის კვირეულზე იტალიური ბრენდის Diesel-ის ჩვენება უჩვეულო დეკორაციების ფონზე გაიმართა.

მოდელებმა ბრენდის შემოდგომა-ზამთრის კოლექცია პოდიუმზე Durex-ის 200 ათასი პრეზერვატივის კოლოფისგან აგებული მთის ფონზე წარადგინეს. ბრენდის კრეატიულმა დირექტორმა, ბელგიელმა დიზაინერმა გლენ მარტენსმა ასეთი დეკორაციები ორი მიზეზით აირჩია - უსაფრთხო სექსის მნიშვნელობისადმი ხაზის გასმა და Diesel-ის Durex-სთან მომავალი თანამშრომლობა. ეს თემა შოუს სხვა ასპექტებსაც შეეხო. კერძოდ, მოსაწვევები შოუზე მაყურებლებმა ასევე Durex-ის კოლოფებში მიიღეს, შოუს შემდეგ კი Diesel-ი თავის მაღაზიებში კიდევ 300 ათას პრეზერვატივს გაავრცელებს.

„ჩვენ Diesel-ში თამაში გვიყვარს და ამას სეროზულად ვუდგებით. იმხიარულეთ, პატივი ეცით ერთმანეთს და უსაფრთხოდ იყავით“, – განაცხადა მარტენსმა. რაც შეეხება კოლექციას, ის თავისუფლების, სიამოვნებისა და ექსპერიმენტების თემას იკვლევს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟამჟამაობის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

არქეოლოგებმა უძველესი უნიტაზი... აღმოაჩინეს



არქეოლოგებმა ჩინეთში შესაძლოა ჩარეცხვის მექანიზმის მქონე მსოფლიოს უძველესი უნიტაზი აღმოაჩინეს.

2 400 წლის უნიტაზის ნატეხები მკვლევრებმა 2022 წლის ზაფხულში, ქალაქ ქსიანში იპოვეს, თუმცა აღმოჩენის დეტალები მხოლოდ გასულ კვირას გასაჯაროვდა.

არქეოლოგები უნიტაზს „ფუფუნების ობიექტად“ მოიხსენიებენ და ვარაუდობენ, რომ ის სასახლეში იყო დამონტაჟებული, მილით კი გარეთ გათხრილ ორმოს უკავშირდებოდა. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ტუალეტების საკითხი ცივილიზებული ქალაქების მშენებლობის მნიშვნელოვანი ასპექტია, მათი აღმოჩენა კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩინეთში სანიტარიის საკითხს სერიოზულად უდგებოდნენ.

აქამდე ჩარეცხვის მექანიზმიანი უნიტაზის პირველ გამომგონებლად ინგლისელ მწერალ ჯონ ჰარინგტონს მიიჩნევდნენ. მან თავისი გამოგონება ინგლისის დედოფალ ელიზაბეტისთვის, მე-16 საუკუნეში დაამონტაჟა.

საინტერესოა, რომ ჰარინგტონი ცნობილი ინგლისელი მსახიობის, კიტ ჰარინგტონის წინაპარია, რომელმაც სახელი „სამეფო კარის თამაშებში“ ჯონ სნოუს როლის შესრულებით გაითქვა.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 27 თებერვალს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6396; ევრო - 2.8072;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1897;
100 რუბლი - 3.5159; თურქული ლირა - 0.1399;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5527;
1000 სომხური დრამი - 6.7616

ამინდი 24 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-9,	დღე	+5
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-6,	დღე	+8
თბილისი:	ღამე	+1,	დღე	+7

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge